# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 12 აგვისტო 2003 №149 (1920) | ფასი 50 თეთრი





ბადრი კეთილაძის ფოტოები

საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტური „ვიტ ჯორჯიასგან" „ბათუმის" 3:1 ძლევით დასრულდა

# ივო პრობლემა
## შესაშურად მშვიდი შუშაკი
## შესაშურადვე ლაპარაკობს



# მოვა ბიძია მილიონერი



## რა უქენით, ბიჭო, ტორპედოს?!
## ხალხმა და უფროსობამ ერთმანეთზე გაიწიეს

იხილეთ მეორე-მეხუთე გვერდები

*ინგლისურ პრემიერლიგაში წლეულს გადასული „პორტსმუთის“ ვებ-გვერდზე წინა ოთხშაბათს ასეთი ცნობა ამოვიკითხეთ: ქართველი გიორგი ქინქლაძის „პორტსმუთში“ დარჩენის საკითხი ამალამ გადაწყდება.“*

*ხუთშაბათს ამავე ვებ-გვერდზე კლუბის დირექტორატის წევრმა თქვა: „ქინქლაძე ძალიან კარგი ფეხბურთელია, თანაც თავისუფალი აგენტის სტატუსით და მისი გადაბირება ნებისმიერ გუნდს უფასოდ შეუძლია, ეს შეგვეძლო ჩვენც, მაგრამ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა ქართველი ფეხბურთელი არ ისურვა.“*

*გუშინ კი თავად გიორგი ქინქლაძემ გვითხრა, რომ ისევ „პორტსმუთთან“ ვარჯიშობს და...*



# ჩუმი დასტური?

## რედნაპის სიტყვა და ქინქლაძე პორტსმუთშია

— კლუბის დირექტორატის წევრებს არც კი შევხვედრივარ. დაახლოებით სამი კვირის წინ ვთხოვე „პორტსმუთის“ მწვრთნელის თანაშემწეს, ჩემს ძველ ნაცნობს ჯიმ სმიტს ფორმის შესანარჩუნებლად ამ გუნდში ვარჯიში და მან, რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ამის უფლება მომცა — გვითხრა წუხელ გიორგი ქინქლაძემ — რამდენიმე ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელებმა თავად შემომთავაზეს ამხანაგურ მატჩში თამაში. თავდასხმაში შერინგემი და ფერდინანდი იყვნენ, მე — ჩვეულ პოზიციაზე ვთამაშობდი. ნამატჩევს მწვრთნელები აშკარად კმაყოფილნი იყვნენ. მეორედ თამაშიც მთხოვეს, ვითამაშე, მწვრთნელებს აშკარად ეტყობოდათ კმაყოფილება.

— ბევრი მწვრთნელი ყოფილა ფეხბურთელით კმაყოფილი, მაგრამ...

— არ ვიცი, ვნახოთ, დავრჩები თუ არა „პორტსმუთში“.

— შაბათს ინგლისის პრემიერლიგა იწყება.

— მე „პორტსმუთში“ ვვარჯიშობ. ამხანაგური მატჩების შემდეგ მწვრთნელებმა თავად მთხოვეს დარჩენა და ახლა ამ გუნდთან ერთად ვემზადები.

**— როდის გადაწყდება დარჩები თუ არა „პორტსმუთში“?**

— ამ კვირაში, პარასკევამდე.

**— „პორტსმუთის“ დირექტორატის წევრმა თქვა, ქინქლაძეს არ ვიტოვებთო...**

— მე „პორტსმუთის“ უფროსობას არ შევხვედრივარ.

**— კი, მაგრამ, იქნებ მწვრთნელმა უთხრა არ მჭირდებაო?**

— მწვრთნელი ამას ჯერ მე მეტყოდა.

**— რედნაპმა ეს რომ ამ კვირაში გითხრას?**

— მაშინ ვერ გეტყვით, რა იქნება. ისე, „პორტსმუთის“ ხელმძღვანელები სათქმელს აქამდე მეტყოდნენ.

**კობა ინასარიძე**

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. II ტური
ალემანია 2:2 მაინცი

**ნორვეგია**
ტიპელიგა. XVI ტური
მოლდე 0:2 ბოდიო გლიმტი

**ჩეხეთი**
გამბრინუს ლიგა. III ტური
სიგმა 1:3 ტეპლიცე

**შვედეთი**
ალსვენსკა
XVII ტური
ელფსბორგი 1:0 იორებრო
იოსტერი 3:0 ლანდსკრონა

**ისლანდია**
პრემიერდივიზიონი
XIII. ტური
თროტური 0:1 ვალიური

საქართველოს ჩემპიონატი — უმაღლესი ლიგა — 15 — პირველი ეტაპი — 3 ტური

# წვიმის გოლი

## ბათუმი ამინდივითაა: ხან დასცხებს, ხან დასცხება

თბილისი. 11 აგვისტო. 18 საათი. შევარდენი. 500 (ტევადობა 2 000)

**ვიტ ჯორჯია 3:1 ბათუმი**

1:0 გველესიანი (3), 2:0 გოცირიძე (66), 2:1 კაკალაძე (77პ), 3:1 დეკანოსიძე (90)

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კვახაძე, ინწკირველი, იმედაშვილი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, დ. დოლიძე (დეკანოსიძე 56), მარცვალაძე (დათუნაიშვილი 69), გველესიანი, ვ. გოჩაშვილი (ვ. მერებაშვილი 63), გოცირიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ლ. მერებაშვილი, ფეიქრიშვილი, ბერელიძე
**მწვრთნელი:** ზურაბ ბერიძე

**ბათუმი:** ქვაჩახია, მახარაძე, გურემიძე, გუშარაშვილი, ბეგლარ თედორაძე (კაჭარავა 46), მანჩხავა, ბესიკ თედორაძე (რომანაძე 33), კობიძე, დარჩიძე (ფურცხვანიძე 60), ფირცხალაიშვილი, კაკალაძე
*სათადარიგონი:* ბალაძე, ბეჟანიძე, ქიცარავა, დუმბაძე
**მწვრთნელი:** ვალერიან ჩხარტიშვილი

**გაფრთხილება:** კაკალაძე (37)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ი. კახიანი (ყველა თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი; **დირექტორი:** რ. შენგელია

ჯარიმა: 16-9; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 15-3; კარში დარტყმა: 9-4; თამაშგარე: 9-3

**კობა ინასარიძე**

**რაცა ვართ,** ესა ვართ, რეზერვი არ გვყავს — ეს „ბათუმის“ მწვრთნელის თანაშემწე *კალერი შანიძის* სიტყვებია — „ბათუმი“ ახალგაზრდული გუნდია, პერსპექტიული ბიჭებით დაკომპლექტებული, ხელის ჩაქნევას არ ვაპირებთ და ტურიდან ტურამდე ვცდილობთ, თამაში გავაუმჯობესოთ.

თამაშის გაუმჯობესების რა გითხრათ და, ჯერჯერობით „ბათუმი“ ერთადერთი გუნდია, ქულაც რომ ვერ მოუპოვებია. „ბათუმის“ ასეთი ცუდი სტარტი არ გვახსოვს — სამი მატჩი, სამი მარცხი. გოლიც ერთადერთი, გუშინ გატანილი, პენალტით.

დონეცკის „მეტალურგში“ თითქმის ერთ თვეს მოვარჯიშე და საბოლოოდ უკან დაბრუნებული ოლეგ გველესიანითა და გერმანული მეორე ბუნდესლიგის „ფიურტიდან“ წამოსული გიორგი დეკანოსიძით გაძლიერებული დაუხვდა „ვიტ ჯორჯია“ მეტოქეს. დეკანოსიძეს თავიდან არ უთამაშია, მაშინ შევიდა მოედანზე, როცა, ცოტა არ იყოს და, მასპინძლებს გაუჭირდათ, გველესიანი კი უდავოდ ყველაზე გამორჩეული იყო 22 ფეხბურთელს შორის. პირველი ორი გოლიც სწორედ მან გააკეთა, უფრო სწორად, ერთი საგოლე პასი გააკეთა, ერთი გაიტანა.

მატჩი ახალდაწყებული იყო და „ვიტ ჯორჯია“ პირველი შეტევის ორგანიზებას ცდილობდა. „ბათუმი“ საჯარიმოს მახლობლად დაჯარიმდა. დარტყმა დოლიძემ ითავა. მან კარის შორეულ ძელთან ჩააწოდა, სადაც სტუმართათვის მოულოდნელად გველესიანი გაჩნდა, მან ბურთისთვის ბრძოლაში მცველებს დაასწრო და თან დაარტყა, თან — ვერა, ბურთი თითქოს ქვაჩახიას უნდა მოეხელთებინა, მაგრამ მეკარემაც თან დაიჭირა, თან — ვერა. საბოლოოდ, ბურთი კარში ჩაეშვა — 1:0. ფაქტობრივად ისე გამოვიდა, რომ მასპინძლებმა თამაში ფორით დაიწყეს, მე-3 წუთზევე დაწინაურდნენ, მაგრამ ბათუმელებსაც მაშინვე შეეძლოთ გათანაბრება. კაკალაძეს, მისი და ფირცხალაიშვილის გაჭრილი ვაშლივით მსგავსი კომბინაციებიდან ერთის გამოყენება მაინც მართებდა. ერთი ხიფათი თბილისელებს მე-5 წუთზე შეექმნათ: მოედნის სიღრმიდან ბურთი საჯარიმოს ხაზთან დაეშვა, სადაც ფირცხალაიშვილმა ორი მცველი გაიტყუა, ქუსლით კი ბურთი უმეთვალყურეოდ დარჩენილ ფირცხალაიშვილს დაუგდო. ბათუმელმა დარტყმული პირველად კარს ააცილა, მეორედ კი მერლანთან პირისპირ დარჩენილმა უკვე მას ვერ ააცილა. მერე იყო და, ორჯერ ზედიზედ „ვიტ ჯორჯიას“ უნდა გაეტანა, გოჩაშვილსა და ინწკირველს გაუცუდდათ ნაღდი მომენტები. შესვენებამდე გოჩაშვილს ერთი ჩინებული საგოლე შანსიც უბოძა გველესიანმა, როდესაც ფორვარდი ქვაჩახიას შეატოვა, მაგრამ მასპინძელს მეკარემ აჯობა.

შესვენების შემდეგ თამაში „ბათუმის“ უპირატესობით განახლდა. გამოცდილმა ვალერიან ჩხარტიშვილმა ტაქტიკური მონახაზი გადააწყო, შუა ხაზი გააძლიერა და ბათუმიც შესამჩნევად გააქტიურდა. რომანაძემ ორჯერ სახიფათოდაც დაარტყა, თუმც მერლანმა იყოჩაღა. ის იყო, „ბათუმს“ წუთი-წუთზე თავისი სიტყვა უნდა ეთქვა, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა გიორგი დეკანოსიძეს რომ უხმო. დეკანოსიძის მოედანზე შესვლა და სტუმართა უპირატესობის გაქრობა ერთი იყო. გიორგიმ ჯერ თავად სცადა გატანა, მერე ინწკირველს ატანინებდა, ბოლოს კი ის შეტევაც დაიწყო, რამაც მასპინძლებს მეორე გოლი მოუტანა: დეკანოსიძის პასი გოცირიძემ ქუსლით გველესიანს გაუგრძელა, რომლის დაბრუნებული პასიც გოცირიძისთვის უნაკლო გამოდგა, ისევე როგორც მისი თავური — 2:0.

მერე გაწვიმდა, მადიანად დასცხო და ცოტა აგრილდა. ნაღდი ბათუმური ამინდი დადგა, ბათუმელებიც ამინდივით გააქტიურდნენ. შედეგი: კვახაძე საკუთარ საჯარიმოში უხეშად შეცდა, ბურთს კაკალაძე დაეუფლა, საჯარიმოშივე იტრიალა და ინწკირველს პენალტი დასტყუა, რომელიც თავად გამოიყენა.

ეს იყო და ეს, წვიმამაც გადაიღო. მართლაც მონდომებულ ბათუმელებს მეტი აღარ შეეძლოთ. საპასუხოდ სტუმრებმა ნოზაძის ერთი გაცუდებული რეალური მომენტი და წამატებულ დროში დეკანოსიძის პასით მერებაშვილის გოლიც მიიღეს.

*ზურაბ ბერიძე*, „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი: „თბილისში ჩამოსვლამდე „ბათუმი“ ორჯერ იყო დამარცხებული და ვიცოდით, რომ ამ გუნდთან რთული მატჩი გველოდა. მოლოდინი გამართლდა, სტუმრებმა მართლაც კარგად ითამაშეს. წინა სეზონში ამდენი ახალგაზრდა ჩვენთან არ თამაშობდა. მაშინ მათ შეცდომებისგან გამოცდილი ფეხბურთელები აზღვევდნენ. დეკანოსიძე სულ ორიოდ დღის წინ შემოგვიერთდა და ცოტა ვადროვე. მან დღესაც დაამტკიცა თავისი კარგი ფეხბურთელობა.“



მამუკა ქადილაშვილის ფოტოები

გოლს კი ჰგავს, მაგრამ გოლი არ არის: ვლადიმერ გოჩაშვილის დარტყმული ზურაბ ქვაჩახიას კარს ასცდა



გიორგი დეკანოსიძე: „ვიტ ჯორჯიამ“ ძალა შემმატა

# საკითხავი, აი, ეს არის...

## რა უცნაურად მშვიდია შუშაკი

## თამაში ფსონის ფონზე

პაატა კვანტალიანი ფოთიდან



**ივო შუშაკის** თავს რაღაც ამბავია. წაგებაცაა და წაგებაც. შუშაკის გუნდი „კოლხეთზე" უკეთაა მომზადებული. დინამოელები „ფაზისზე" ინდივიდუალურად ათი თავით სჯობდნენ მეტოქეებს, ბევრსაც უტევდნენ, გოლები კი „კოლხეთს" გაჰქონდა. ერთიცაა, გაუთავებელ შეტევებში „დინამოს" თითქოს მიზანი და მოტივაცია აკლდა. ასეთ ვითარებაში ერთობ მოულოდნელი იყო ის ტონი, რომლითაც შუშაკმა ისაუბრა პრესკონფერენციაზე. ეს არ იყო ამბიციური, გამარჯვებას ჩვეული და დროებითი ჩავარდნით გაღიზიანებული კაცის ტონი. შუშაკი ისე ლაპარაკობდა, თითქოს მის გუნდს რიგითი მატჩი მოეგოს. მეტიც, შუშაკი ზუსტად ისე საუბრობდა, როგორც წინა ორ ტურში მშრალად მოგებული მატჩების შემდეგ, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ „ფაზისზე" ხორვატმა თქვა, გუნდური ფეხბურთი ვერ ვითამაშეთო. ეს კი საკმარისი არ იყო მარცხის მიზეზების ასახსნელად. ამით იმის თქმა მსურს, რომ შუშაკისთვის ან უკვე სულერთია, რას იტყვის (რაც ნაკლებ სავარაუდოა), ანაც მის გუნდში, კლუბში რაღაც ხდება ისეთი, რაც მწვრთნელისთვის ცნობილია და საქვეყნოდ ჯერ არ გაცხადებულა.

„კოლხეთ" — „დინამოს" ბოლო წლებისთვის უჩვეულოდ დიდი აუდიტორია ჰყავდა და ამის მიზეზი მხოლოდ ჩემპიონის სტუმრობა არ ყოფილა. ფოთის ერთ-ერთმა ტოტალიზატორმა საამმატჩო ფსონები მიიღო და მეფსონეებიც „ფაზისისკენ" დაიძრნენ „ადრენალინის მისაღებად". რაღა გასაკვირია, რომ ფოთელთა უმრავლესობას ქვითრების შევსებისას სტუმართა მოგებაზე წაუცდა ხელი, „დინამო" ხომ ფავორიტი იყო, თუმც ბოლოს მოგებული კოლხები და ცეცხლთან მოთამაშე იმ ტოტალიზატორის მესვეურები დარჩნენ.

საამმატჩოდ დიდი პრობლემები ჰქონდა გია ტყებუჩავას. კოლხთა მწვრთნელი იძულებული იყო, ფეხმტკივანი გოროზია და კუნთდაჭიმული გაგუა ეთამაშებინა. გოროზიამ ერთ ტაიმს გაუძლო, გაგუმ კი ლომის წილი დაიდო თბილისელთა წახდენაში და მოჭრილი, საფირმო საგოლე დარტყმით მატჩის გმირიც გახდა, თუმც ამ მომენტამდე ერთობ სათუო იყო კოლხთაგან არათუ მოგება, ქულის გადარჩენაც კი. 25-ე წუთამდე მასპინძლებს სტუმართა ნახევარი არ უნახავთ. „დინამო" ბევრს და დიდი ძალით უტევდა, თუმც თბილისელები კოლხთა საჯარიმომდე ყველაფერს უნაკლოდ აკეთებდნენ, იქ კი მცველები თავგანწირვით უმკლავდებოდნენ მომხდურთა იერიშებს, ერთი-ორჯერ კი ბათიაშვილმაც იყოჩაღა.

ფოთი. 9 აგვისტო. 18 საათი. ფაზისი. 1 500 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 2:1 დინამო

1:0 გოდერძიშვილი (27), 1:1 დარასელია (58), 2:1 გაგუა (67)

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, ქუტიძე, ლონლაძე, მინდაძე, გოროზია (სვანაძე 46), ქობულაძე, აკობია, თავაძე, ტულუში, გაგუა (დ. ნარსია 78), გოდერძიშვილი (მალანია 54)
*სათადარიგონი:* ჩემია; მარგალიტაძე, ტყებუჩავა, ნ. ნარსია
**მწვრთნელი:** გია ტყებუჩავა

**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (იაშვილი 75), ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ახალაია, მელქაძე (ი. სამხარაძე 72)
*სათადარიგონი:* გვარამაძე; ეძონია, კანდელაკი, სანაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** გოროზია (14), ხიზანეიშვილი (65), ბათიაშვილი (69)

**მსაჯები:** ა. მუშკუდიანი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ა. სამხარაძე (სოხუმი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილზენჯი; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

ჯარიმა: 20-18; კუთხური: 1-7; კარისკენ დარტყმა: 2-14; კარში დარტყმა: 4-5; თამაშგარე: 3-3

მასპინძლებმა პირველივე საგოლე შანსი გამოიყენეს. ჯარიმიდან ტულუშმა საჯარიმოში შეჭრილ გოდერძიშვილს ფეხზე დაასვა ბურთი და მეფსონეთა დიდმა ნაწილმაც მოიწყინა.

„დინამომ" საამჩემპიონატო პირველი გოლის გაშვების შემდეგ შმაგად შეუტია, თუმც პირველ ტაიმში ვერაფერს გამორჩა. ერთხელ დარასელიამ გაისროლა, ერთხელაც ახალაიას გაუცუდდა თავური.

„დინამომ" მეორე ტაიმიც დიდი შემართებით დაიწყო და 58-ე წუთზე დარასელიამ ფოთელთა ერთადერთი შეცდომა გამოიყენა — ვიტალი კარლოსის ჩაწოდებულს დროულად დაუხვდა და მოხდენილი თავურით შანსი არ დაუტოვა ბათიაშვილს.

ეს იყო და ბევრმა „დინამოს" მოგების ირწმუნა, მეტოქის იერიშებით დამძიმებული მასპინძლები უნდა გამტყდარიყვნენ, მაგრამ პირიქით მოხდა. ტყებუჩავას გუნდი კონტრშეტევებზე ჩასაფრდა. ფოთელთა ეს ნაბიჯი დროულიც იყო, შეტევაზე გადართული და დაცვამოშიშვლებული „დინამო" კარგი საჩქმეტი იყო. მასპინძლებს ჯანმაც არ უღალატა და ერთ-ერთი სწრაფი კონტრშეტევისას კოლხებმა ჯარიმა მოინადირეს. ტულუშმა გაგუას დაუთმო დარტყმის უფლება, მანაც მოხდენილად გადაავლო „ცოცხალ კედელს" და ჩიტივით გაფრენილ ზოიძეს მეორედ გამოატანინა ბურთი კარიდან. გაიხარა „კოლხეთის" ერთგულმა ქომაგმა, ფეხბურთელებსაც გული მიეცათ — გამარჯვება ირწმუნეს. ტყებუჩავამ რამდენიმე ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა და გაძლეს ფოთელებმა. ის კი არა, ნაცადი კონტრშეტევებისას ერთი-ორჯერ ანგარიშის გაზრდის შანსიც ჰქონდათ.

დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ, მადლობას ვუძღვნი ფეხბურთელებს თავდადებისთვის. ისინი გმირები არიან და სასწაული უნდა მოხდეს, ამ გუნდს ექვსეულში შესვლა გაუჭირდესო — თქვა გია ტყებუჩავამ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.



ქუთაისი. 9 აგვისტო. 18 საათი. ტორპედო. 1 000 (ტევადობა 19 200)

### ტორპედო 0:0 სპარტაკი

**ტორპედო:** სტურუა, ლ. ქელიძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, ყიფიანი, გამეზარდაშვილი (კვეტენაძე 26), ახალკაცი, პოროშინი (ზვ. ქუთათელაძე 70), მუშკუდიანი
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი; ლალაძე, ნერგაძე, დარსაძე, კვერნაძე
**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**სპარტაკი:** მამალაძე, ჭვანია, წურწუმია, იმნაიშვილი, ჩიკვილაძე (ჯანგიძე 72), ბოლქვაძე, კ. ალადაშვილი, ეგაძე, გ. დოლიძე, ტატანაშვილი (კვერენჩხილაძე 76), გ. თოდუა (ებანოიძე 87)
*სათადარიგონი:* შეყრილაძე; კუკულაძე, კოტრიკაძე, დონდოლაძე
**მწვრთნელი:** ვასილ ქეიშვილი

**გაფრთხილება:** ალადაშვილი (23), ყიფიანი (69), დოლიძე (90)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; გ. გადაჭკორია, კ. თბილელი (სამივე თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა: 16-22; კუთხური: 6-1; კარისკენ დარტყმა: 9-5; კარში დარტყმა: 8-1; თამაშგარე: 6-4

# არა — რასიზმს! არა — ფრუიძეს!

## კულუარულ ტორპედოში მილიონერ ბიძიაზე ჩურჩულებენ

გიორგი ვაშაკიძე ქუთაისიდან

**სიახლე** — გუნდებს ფორმებზე თეთრი მაისურები გადაეცვათ წარწერით: „გავერთიანდეთ რასიზმის წინააღმდეგ". ამან, ცოტა არ იყოს, დააბნია ტრიბუნებს შეფენილი მცირერიცხოვანი ქომაგი...

**ვარაუდი** — „ტორპედოს" მალე მეგოლე ფორვარდი გიორგი ქორიძე შეემატებაო. ბოლნისური „სიონისგან" შერისხულ და სეზონის დასაწყისში „ლოკომოტივთან" მოვარჯიშე ქორიძეს ქუთაისში დღედღეზე ელიან.

ქუთათურებს კიდევ ერთი თავდამსხმელის, გია იმედაძის დამატების სურვილი ჰქონდათ. იმედაძე წინააღმდეგი არ იყო, მშობლიურ გუნდს, სულ ცოტა, დეკემბრამდე დახმარებოდა და მერე ბედის საძებრად კვლავაც უცხოეთში წასულიყო, მაგრამ „ტორპედოს" ხელმძღვანელობამ გიას ერთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა, ფეხბურთელმა იუარა და ტრანსფერიც ჩაიშალა.

**მატჩი** — „ტორპედოს" სრული უპირატესობა ზურაბ მუშკუდიანის არაერთი გამოუყენებელი მომენტით. სტუმართა მეკარე ზურაბ მამალაძის ჩინებული თამაში, „სპარტაკის" გააზრებული კონტრშეტევები, სულ ბოლოს ერთადერთი რეალური საგოლე შანსი, მაგრამ...

**სენსაცია** — პირველ ორ ტურში ცხრა ბურთის გამშვებმა „სპარტაკმა" ქუთაისიდან ქულა წაიღო, ყველასთვის მოულოდნელი და ბრძოლით მოპოვებული. ყმაწვილმა თბილისელებმა, რომელთა საშუალო ასაკი სულ რაღაც 20 წელია, ქუთაისელი ქომაგისგან ალალი ტაში დაიმსახურეს.

**რეაქცია** — სტუმრებს ალალი ტაში კი უძღვნეს „ტორპედოს" თავგადაკლულმა გულშემატკივრებმა, მაგრამ ვერმოგებული და უსუსური თამაშის გამო სტვენა და შეძახილები არ მოჰკლებიათ „ტორპედოს" ხელმძღვანელებს და განსაკუთრებით მწვრთნელ სოსო ფრუიძეს.

წადით! თქვენ დაშალეთ „ტორპედო", ასეთი თამაშით სამეულში კი არა, ექვსეულშიც ვერ მოვხვდებით. გულმოსული ქომაგი ფრანგულ „ლანსთან" მოახლოებულ საუეფასთასო მატჩებსაც შიშით ხვდება, სირცხვილი და თავის მოჭრა გველისო.

**ერიჰა!** — „ტორპედოს" ხელმძღვანელებმა და სოსო ფრუიძემ გულშემატკივრებს აგინეს და მათკენ გაიწიეს კიდეც. მართალია, მოსაწონი და გამართლებული არც ქომაგთა შეძახილი და „ტკბილი სიტყვების" კორიანტელია, მაგრამ თავშეკავება, ცხადია, მწვრთნელს უფრო მართებს.

**კულუარებში თქმული** — ამბობენ, „ტორპედოს" მალე ახალი ხელმძღვანელობა ეყოლებაო. მოსკოვში მოსაქმიანე გუნდის პრეზიდენტი ზურაბ ხინიკაძე და ცნობილი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი გუნდის საფრანგეთში სტუმრობისას შეხვდებიან ერთმანეთს და „ტორპედოს" მომავალზეც ისაუბრებენო. „ტორპედო" დღეს დილით თბილის-პრაღის ავიარეისით გაფრინდება, იქიდან ქუთათურები ჯერ პარიზს ესტუმრებიან, მერე კი ლანსში გადავლენ. გუნდი „ლანსთან" მატჩის მეორე დღეს დაბრუნდება საქართველოში.

**პრესკონფერენცია** — სოსო ფრუიძის ნაცვლად „ტორპედოს" მეორე მწვრთნელი *გელა კიკალეიშვილი*: „ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ უიღბლობის გამო ვერ მოვიგეთ. ფაქტობრივად, მეგოლე ფორვარდი არ გვყავს. იონანიძის გუნდიდან წასვლა ძალიან დაგვეტყო, თუმცა, ცხადია, ერთ კაცზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებულნი. თანდათან გავძლიერდებით, ავეწყობით და დავლაგდებით. იმ ვაი-გულშემატკივრებზე ვართ ნაწყენი, რომლებმაც გვაგინეს და უხამსი სიტყვებით შეგვამკეს."

„სპარტაკის" მწვრთნელ *ვასილ ქეიშვილს* კი ჩინებული დებიუტი ჰქონდა. ქუთაისიდან მისმა შეგირდებმა ალალი, ბრძოლით მოპოვებული და დამსახურებული ქულა წაიღეს: „გუნდს ჯერაც არ ვიცნობ, მაინტერესებდა, როგორ შეძლებდნენ დავალების შესრულებას. ჩემთვის უმთავრესი მათი ფსიქოლოგიური მომზადება გახლდათ, თორემ ასე უცებ ვერც ტაქტიკურად და ვერც სხვანაირად ვერ მოვამზადებდი. მადლობა მათ, რაც ვუთხარი, ყველაფერი ჩინებულად შეასრულეს. ცხადია, მაქვს შენიშვნებიც. გუნდის ორივე საწყისი შეხვედრა ვნახე, ჯერ „დინამოსთან" და მერე „თბილისთან". ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ბიჭები შიშით თამაშობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, გამოუცდელობის ბრალია, ისინი ხომ ჯერაც დაულვინებელნი არიან."

თბილისი. 9 აგვისტო. 18 საათი. შევარდენი. 200 (ტევადობა 3 500)

## თბილისი 1:1 სიონი

0:1 შენგელია (38), 1:1 გუჩუა (86პ.)

თბილისი: ნაჭყებია, მეშარნიშვილი, სიდამონიძე, მიქიაშვილი (ხარებავა 46), კვარაცხელია, მესხი, გიორგი ნუგზარის ძე ქელიძე (მიკუჩაძე 53), აფციაური (დათვაძე 46), ხოჯავა, ჯაკობია, დავითაშვილი
სათადარიგონი: ივარდავა, ლოლაძე, ნადირაშვილი, გოგუა
მწვრთნელი: თემურ ლორთქიფანიძე

სიონი: ვოლკოვი, ხუჯაძე, კვეკვესკირი (ბაქრაძე 66), ქიქვეიშვილი, გაბიდაური, გუჩუა, დარსანია (დანძულიძე 77), გ. შენგელია (წივწივაძე 46), გაბისკირია, კოშკაძე, გონჩაროვი
სათადარიგონი: ა. ლაბაძე, ისიანი, დაუშვილი, ბ. შენგელია
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

გაფრთხილება: გაბიდაური (58), წივწივაძე (69)

მსაჯები: ბ. დოგრაშვილი; ა. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; ა. შალამბერიძე (ყველა ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ვ. კოპალეიშვილი

ჯარიმა: 17-23; კუთხური: 6-6; კარისკენ დარტყმა: 5-7; კარში დარტყმა: 4-6; თამაშგარე: 7-3

# თავში პუხოვი იყო, ბოლოს — გუჩუას თავი

ვაჟა ხუციშვილი

**სა3ევროთასო** მატჩის წინა თამაშზე იტყვიან, რეპეტიციააო. „სიონისთვის" „თბილისთან" შეხვედრა რეპეტიცია თუ იყო, პუხოვს ნასტუმრებ ბოლნისელებს ასეთი თამაშით სასურველი შედეგის მიღწევა გაუჭირდებათ.

ნამატჩევს თემურ მახარაძემ თქვა, ბიჭებს თავში „პუხოვი" უფრო უტრიალებთ, ვიდრე ჩემპიონატის მატჩიო. „სიონის" მწვრთნელი თავისი გუნდით მაინც კმაყოფილი ჩანდა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისიდან თითქმის განადგურებული სამი ქულის ნაცვლად ერთიღა წაიღეს.

ბოლნისელთა თავკაცმა ისიც დასძინა, ფეხბურთელებს მაინცდამაინც არ გაურისკავთ, სასლოვაკეთოდ თავს გაუფრთხილდნენო.

თემურ მახარაძე, სავარაუდოდ, „სიონს" ზეგ დაახლოებით ისე ათამაშებს, როგორც შაბათს „შევარდენზე". სამი მცველით, უფრო დაცვისკენ მიყურადებული ოთხი ნახევარმცველით, გამთამაშებლითა და ერთი ფორვარდით, გონჩაროვის დამხმარე კოშკაძით, რომელიც ბოლნისელთა შორის ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა.

მატჩის წინ ორივე გუნდი უეფას ანტირასისტული აქციის მონაწილე გახდა: ფეხბურთელებმა ფორმებზე მაისურები გადაიცვეს წარწერით: „AGAINST RACISM", მაყურებლებს მიესალმნენ და მაისურები ისევ გაიხადეს.

მთელი შეხვედრის განმავლობაში მოედანზე შემოქმედების დეფიციტი იყო. ბრძოლა, კი ბატონო, პაპანაქება სიცხეში სირბილიც არ დაზარებიათ, მაგრამ იმავე სიცხეში მისულმა გულშემატკივარმა ფეხურთისგან სიამოვნება ვერ მიიღო. ამის მიზეზი პირველ რიგში უზუსტო პასები და კარში დარტყმების სიმწირე გახლდათ.

პირველი ტაიმის ნახევარი ისე მიილია, მეტოქეებმა თითო საჯარიმო დარტყმა გაცვალეს და ამის შემდეგღა შეიქმნა ქომაგთა გასახალისებელი მომენტები. ჯერ გონჩაროვს ჰქონდა გოლის გატანის კარგი შანსი, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილმა ბოლო მცველი ვერ ჩამოიშორა. საპასუხოდ თბილისელებმა კომბინაცია გაჩარხეს. შედეგად ხოჯავა აღმოჩნდა კარიდან ათიოდ მეტრში და მის დარტყმულს გაბიდაური გადაეფარა.

შესვენებამდე გატანილ ერთადერთ გოლში ქართული ფეხბურთის ჭია იყო დამნაშავე. ამ ჭიას უაზრო დავა ჰქვია. როცა ამა თუ იმ გუნდის მოთამაშეები მსაჯს უხსნიან, რომ აუტი ან ჯარიმა მათი შესასრულებელია და არა მეტოქისა. ასე მოხდა „შევარდენზეც". სანამ თბილისელები მსაჯს უყვიროდნენ, აუტი ჩვენიაო, ბოლნისელებმა სწრაფად მიაწოდეს, კოშკაძე ბურთიანად საჯარიმოში შეენთო და კარის წინ ეულად დარჩენილ შენგელიას მიაწოდა. მას მხოლოდ ფეხის დახვედრება დასჭირდა და ანგარიშიც გაიხსნა.

ტაიმის დასრულებამდე გაბისკირია სამჯერ აღმოჩნდა მეტოქის საჯარიმოში დასარტყმელად ფეხმომარჯვებული. სამჯერვე დაჰკრა, მაგრამ ორჯერ მცველებს მოარტყა, ერთხელ კი მეკარემ მოიგერია.

მეორე ტაიმში თემურ ლორთქიფანიძემ აფციაურის მაგივრად დათვაძე, მიქიაშვილის ნაცვლად კი მიკუჩაძე ათამაშა. ცვლილებები მწვრთნელმა სწორად გააკეთა, თუ გავითვალისწინებთ მატჩის საბოლოო შედეგს. მასპინძლებმა გოლი მატჩის მიწურულს გაიტანეს, და ეს მეტწილად დათვაძის დამსახურება გახლდათ.

საკმაოდ რიხიანად ჩაერთო თამაშში „სიონის" ჰამლეტ წივწივაძეც. მახარაძემ გაბისკირია ოდნავ უკან დასწია, წივწივაძემ კი კოშკაძე-გონჩაროვის პასებით მომარაგება ითავა.

შეხვედრის მეორე ნახევარი შესახედად პირველზე უკეთესი გამოდგა. იმიტომ, რომ, რაც უფრო დასალიერისკენ მიდიოდა მატჩი, მასპინძლები მეტს და სახიფათოდ უტევდნენ, სტუმრები კი კონტრშეტევაზე თამაშობდნენ.

თბილისელები სულ უფრო ხშირად ჩნდებოდნენ მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ საბოლოო დარტყმისას მათ მცველები ელობებოდნენ.

ზურგმოშიშვლებული მასპინძლების გამოჭერა ბოლნისელებს შეეძლოთ და ორი კარგი მომენტიც გაანიავეს. ოღონდ, ეს მომენტები მეკარემდე არ მისულა, თავდამსხმელები სცოდავდნენ.

მატჩის მიწურულს „სიონს" ეგონა, სამი ქულა უკვე დავიგულეო და საკუთარი კარის უსაფრთხოებით გართულმა გოლი გაუშვა. დათვაძემ კუთხურიდან ბურთი თანაგუნდელს გაუთამაშა და საჯარიმოს კუთხიდან უმძლავრესად დაარტყა. მთელი შეხვედრის განმავლობაში ჯიგრიანად მებრძოლმა გუჩუამ თავით მოგერიება სცადა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, ბურთი მისი თავიდან ვოლკოვისგან მარჯვენა მაღალ კუთხეში შეფრინდა. გუჩუა პირქვე დაემხო, თამაში ასე დასრულდა.

ნამატჩევს თემურ ლორთქიფანიძემ თავის შეგირდებს შემართება და მონდომება დაუწუნა, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან, 18-19 წლის ბიჭები მოედანზე უნდა დაქროდნენო.



რეზო ნაჭყებიამ პუხოვში ამგზავრებულ ბოლნისელებს ერთის გატანა აკმარა



„რეჟისორი" თემურ მახარაძე ბოლო რეპეტიციაზე

ოზურგეთი. 9 აგვისტო. 18 საათი. ცენტრალური. 3 000 (ტევადობა 8 000)

## მერცხალი 1:1 მცხეთა

1:0 ხუჭუა (71), 1:1 ნოზაძე (75პ)

მერცხალი: გია გოგუა, კობაური, მგალობლიშვილი, კვირკვია, ილურიძე (შუბითიძე 64), გ. წივწივაძე, ქალიაშვილი (გრიგორიევი 80), ქინქარაული, ბართაია (რიჟინაშვილი 76), კალანდია, ხუჭუა
სათადარიგონი: ა. გ. როხაძე, მანჯავიძე, ი. როხაძე
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

მცხეთა: ცინაძე, ამბიძე (ნიტაური 22), გ. ბექაძე, ჯაფარიძე, რაქვიაშვილი, თირქია (სიდამონიძე 73), ჩაჩუა, ლ. ქებაძე, ლ. ხხაიძე, ბ. ნოზაძე, პარამონოვი (ჩილვინიძე 46)
სათადარიგონი: თ. ოდიკაძე, კირვალიძე, მუშუქია, მელიქია
მწვრთნელი: ვლადიმერ ბანოვი

გაფრთხილება: ლ. ქებაძე (49), ხუჭუა (52), ბართაია (54), ჩაჩუა (67), რაქვიაშვილი (76)

მსაჯები: ჯ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: თ. გუნთაძე; დირექტორი: რ. შოთაძე

ჯარიმა: 20-21; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 2-4; კარში დარტყმა: 4-3; თამაშგარე: 2-1

# შენს მერცხალსაც რომ ესროლონ, ძამა?!

გოჩა ჟანაშია ოზურგეთიდან

**ჩემპიონატის** დებიუტანტთა ოზურგეთულ დაპირისპირებას ზოგადი შინაარსიც ჰქონდა: იყო თუ არა მცხეთელთა მიერ რკინიგზელთა დამარცხება შემთხვევითი და შეძლებდნენ თუ არა გურულები ბოლნისური მარცხის დავიწყებას?

მასპინძლებს უკვე მეხუთე წუთზე შეეძლოთ დაწინაურება. როგორც ჩანს, „მერცხალს" დამუშავებული აქვს ის კომბინაცია, რომლითაც „თბილისს" მეორე გოლი გაუტანა. ანალოგიური შაბათსაც განმეორდა. საჯარიმო ამჯერად წივწივაძემ დაარტყა, ხოლო ახლო ძელთან ისევ ხუჭუამ გაატარა. ცინაძემ ბურთის მოხელთება ვერ მოახერხა და მისგან ასხლეტილს ხუჭუა კარში შეუჩერებლად გზავნიდა. მანძილი დიდი არ იყო, სამაგიეროდ, კუთხე იყო ერთობ მახვილი და გურულთა მოიერიშეს სიზუსტემ უმტყუნა.

ამ ეპიზოდმა „მცხეთა" შეკრა და გაცილებით დალაგებულად აათამაშა. სტუმრებმა მალე მომენტიც შექმნეს, როცა შორეულ პასს მჟავანაძე მოუმზადებელი დაუხვდა და ლაშა ქებაძეც მეკარესთან მარტო დარჩა. ლაშამ გოგუას მოტყუება სცადა, მაგრამ ზედმეტი მოუვიდა და ოდენ საეჭვო საპენალტო სიტუაციას გამორჩა.

გურულები უფრო სიღრმიდან ცდილობდნენ კონტრშეტევის განხორციელებას და ეს ერთხელ კარგადაც გამოუვიდათ. კალანდაძემ საჯარიმოს წინ მყოფ ხუჭუასკენ დაბალი პასი გაგზავნა. ამან კვლავ გაატარა ბურთი და საჯარიმოში მარჯვნიდან შერბენილ ბართიას რაქვიაშვილმა ბოლო წამსლა ააცალა ფეხიდან ბურთი.

შესვენებამდე მეტოქეებმა თითო მწვავე მომენტი კიდევ შექმნეს და თამაშის განახლებამდე მეტი არაფერი მომხდარა ღირებული.

მეორე ტაიმში ბურთაობა უფრო თვალსასეირო გახდა. ტემპმა და ორთაბრძოლებმა კი იმატა, მაგრამ დაძაბულობის ეპიცენტრი მოედნის შუაგულში რჩებოდა, ასე რომ, მატჩის უგოლოდ დასრულება ლოგიკური ჩანდა. თუმც დარჩენილ ოც წუთში მოვლენები სხვანაირად განვითარდა.

71-ე წუთზე კობაური მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და საჯარიმოში დაბალი დიაგონალი გაგზავნა. ბურთს ჭინჭარაული შეეგება და კარში დარტყმაც მოახერხა. ივარგა ცინაძემ, დარტყმული მოიგერია, მაგრამ იქვე დადარაჯებულ ხუჭუას დამატებულს ვერაფერი მოუხერხა.

ოზურგეთელთა სიხარული სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ბართიას წამით ჩაეძინა და მეკარესთან პირისპირ გასული ნოზაძის შეჩერება მხოლოდ წესების დარღვევით მოახერხა. მესხმაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა, ხოლო დაზარალებულმა უნაკლოდ შეასრულა.

ამ ეპიზოდში დაძაბულობამ პიკს უწია. მასპინძლებმა მოსაგებად გაიწიეს, მაგრამ ვერაფერს გამორჩნენ. პირიქით — მცხეთელთა ორი კონტრჩხვლეტა გაეპარათ და თუ პირველ ეპიზოდში ჩილვინიძეს მახვილი კუთხიდან აუცდა, მეორეში ისევ ჩხაიძის ჩინებული პასით ლაშა ქებაძეს მართებდა გატანა, მაგრამ გოგუამ სასწაულებრივ მოიგერია ბურთი.

ეს იყო და, აღმოსავლეთი ტრიბუნიდან რაღაც ისროლეს და თამაშიც ცოტა ხნით შეწყდა. ეს „რაღაც" საკმაოდ მოზრდილი ქვა გამოდგა, რომელიც მესხმა ნივთმტკიცების სახით მატჩის ინსპექტორს მიართვა.

ფრემ ოზურგეთელი ქომაგობა აშკარად არ დააკმაყოფილა და გაბელაიას მიმართ უკმაყოფილებაც გაუზარდა.

თბილისი. 10 აგვისტო. 19 საათი. ლოკომოტივი. 1 000 (ტევადობა 25 600)

## ლოკომოტივი 2:1 დილა

0:1 კაიდარაშვილი (32), 1:1 ხომერიკი (39), 2:1 მიქაძე (47მ)

ლოკომოტივი: ლომაია, ზამთარაძე, ვაშაკიძე, ქემოკლიძე, მანჯგავა (ბურნაძე 57), ქოქიაშვილი, მიქაძე, ხომერიკი (კობახიძე 57), სირაძე, უგრეხელიძე (ორბელაძე 63), სიქინავა
სათადარიგონი: გრიშიკაშვილი, გოგინაშვილი, ხუბუტია, ფლენტი
მწვრთნელი: რევაზ არველაძე

დილა: სოლოლაშვილი, ბალიშვილი, სეჭაბერიძე, ლომიძე, ლაცაბიძე, სულთანაშვილი (ოლგესაშვილი 64), ჯობაძე, ძოძუაშვილი, ლ. გოჩაშვილი, ბიჭაია, ა. კაიდარაშვილი
სათადარიგონი: თ. იღურიძე, ზ. კაიდარაშვილი, რაზმაძე, მარლიშვილი, საყვარელიძე, მასურაშვილი
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

გაფრთხილება: მანჯგავა (50), მიქაძე (58)

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ი. აფციაური (დუშეთი), ბ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ს. კეტიაძე; დირექტორი: ა. გრეკოვი

დარტყმა: 18-15; კუთხური: 2-7; კარისკენ დარტყმა: 3-6; კარში დარტყმა: 5-4; თამაშგარე: 1-1

# პირველი კბილი



რამაზ სოლოლაშვილმა საკუთარ კარში ბურთი ორჯერ იხილა

დავით თავართქილაძე

**კანიბალიზმში** ნუ ჩამოგვართმევთ, მაგრამ სისხლიანი მატჩი იყო. „ლოკომოტივმა", როგორც მისმა დამრიგებელმა რევაზ არველაძემ განაცხადა, კბილებით გამოაძრო გამარჯვება — ახალი მწვრთნელის ხელში რკინიგზელებმა პირველად მოიგეს.

ვერანაირად ვერ დავძრახავთ გორის „დილას" — ქართლელებმა ვაჟკაცურად ითამაშეს, მაგრამ ვაკიდან ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

ზედიზედ მესამე მატჩია, „ლოკომოტივი" პირველი უშვებს გოლს. გორელები იმად დაწინაურდნენ, რომ ლაცაბიძის შორიდან გასროლილი გიორგი ლომაიამ ხელებში ვერ შეიმაგრა, დამატებაზე კი ალეკო კაიდარაშვილმა ოსტატურად შეაგორა ბურთი რკინიგზელთა კარში.

მანამდე თანაბარი თამაში იყო, ხოლო გაშვებულმა გოლმა „ლოკომოტივი" გაახელა. დავით სირაძემ „დილას" დამცავი ეშელონები ცენტრიდან გაარღვია, მეტოქის საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და გიორგი მიქაძეს დაუგორა ბურთი — მის დარტყმულს კი ლევან ხომერიკმა წააშველა ფეხი და 1:1.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, მიქაძე მარცხენა ფლანგზე დაეპატრონა ბურთს, შეიჭრა „დილას" საჯარიმოში, ორ მცველს შორის გაიგდო ბურთი და მათთან ბრძოლაში წაქცეულმა 11-მეტრიანი მოინადირა — მიქაძემ შანსი არ დაუტოვა რამაზ სოლოლაშვილს.

ამის შემდეგ უფრო მეტს „დილა" უტევდა, თუმც გატანის შანსი ისევ „ლოკომოტივს" მიეცა — დავით ქოქიაშვილმა ჩინებული პასით მიქაძე სოლოლაშვილს შეატოვა, რკინიგზელმა ფორვარდმა კი იჩქარა, მყის, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

გორელთაგან საბა სულთანაშვილმა სცადა ბედი საშუალო მანძილიდან, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. იგივე დაემართა არჩილ ოლგესაშვილსაც. ცოტაც და „ლოკომოტივს" ზაზა ზამთარაძე დაუშავდა, არადა, არველაძეს სამივე შეცვლა გახარჯული ჰქონდა და ზამთარაძეს თამაში და სირბილი კი არა, მოედანზე დგომა უჭირდა. „დილაც" მატჩის ბოლო 25 წუთი ფაქტობრივად რიცხობრივ უპირატესობას დაეუფლა და მეტოქე მარწუხებში მოაქცია.

სტუმრები იოლად უმკლავდებოდნენ „ლოკომოტივის" პირველ დამცავ ჯებირს, მაგრამ დაცვაში ირაკლი ვაშაკიძე და „ლოკომოტივში" დაბრუნებული რევაზ ქემოკლიძე მაგრად იდგნენ. კარგად გამოჩნდა, თუ რა ძალას წარმოადგენენ ისინი გუნდისთვის და რა ფასეული მოთამაშეა „ლოკომოტივისთვის" ქემოკლიძე.

დიდებულად ათამაშდა ლომაიაც. მან ურთულესი ბურთი აუღო ლევან გოჩაშვილს. „დილას" შტურმი თუ შტურმისმაგვარი კი გრძელდებოდა, მაგრამ „ლოკომოტივს" კონტრშეტევებზე ორჯერ შეეძლო გატანა — ჯერ ქოქიაშვილს, მერე სირაძეს. უნდა ითქვას, რომ ქოქიაშვილი და მიქაძე რკინიგზელთაგან საუკეთესონი იყვნენ.

„დილას" კი ბოლო წუთზე მართებდა გატანა, მაგრამ კაიდარაშვილს ლომაიამ აჯობა — ახლოდან დარტყმული ფეხით მოიგერია კუთხურზე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:1 | 7 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 10:2 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 0 | 1 | 10:4 | 6 |
| სიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| თბილისი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| დილა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| მერცხალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:6 | 4 |
| მცხეთა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:9 | 4 |
| სპარტაკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:9 | 1 |
| ბათუმი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |





მცირე ექსცესი ტრიბუნაზე გორელ ქომაგთა მონაწილეობით



*რევაზ არველაძე:* ჩვენი გუნდი ისეთ სტადიაშია, რომ იოლი გამარჯვებები ვერ გვექნება. სასიხარულოა, რომ კაცნაკლულებმა 30 წუთი გავუძელით მეტოქეს. კარგია, რომ ისეთ საფეხბურთო რეგიონში, როგორიც გორია, ასეთი კარგი მწვრთნელი ჰყავთ — ხორგუაშვილის „დილა" ნებისმიერი გუნდისთვის უხერხული და ძლიერი მეტოქე იქნება. ის, რომ „ლოკომოტივი" ჯერ მოსაწონი გუნდი არ არის, პირველ რიგში ჩემი ბრალია, მაგრამ ბრძოლისუნარიანობითაც შორს ვართ სასურველისგან. ეს არ არის ჩემი კრედო, ჩემი ფეხბურთი, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ეპიზოდს. არ მინდა „ლოკომოტივიდან" ვინმე გამოვარჩიო. ერთადერთი საერთო კომპლიმენტი — გუნდმა რთულ მომენტში გაძლო.

*ზურაბ ხორგუაშვილი:* ძალიან საინტერესო, დაძაბული მატჩი იყო. მეტოქეს გულითადად ვულოცავ გამარჯვებას, ჩემს ბიჭებს კი მადლობას ვუხდი — ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. მსაჯებს მე ვერ შევაფასებ, მათ თავიანთი შემმოწმებლები ჰყავთ და დასკვნებიც მათ უნდა გამოიტანონ. ისე, იღბლის გარდა „დილას" გამოკვეთილი ლიდერიც აკლდა — ასეთი ფეხბურთელი გუნდისთვის საჭიროა.





# შუბი არ დაიმალა



გერმანიაში ხვიჩა შუბითიძე გოლით გამოირჩა, ლევან ცქიტიშვილი გაფრთხილებით

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. პირველი ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | მიუნხენი 1:1 | 90 | | 2 | 0 | 10 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანზა 2:2 | 90 | | 2 | 0 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ჰანზა 2:2 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 12 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ტრირი 1:2 | 90 | 1 გოლი | 2 | 1 | 18 |
| მიხეილ საჯაია | უნტერჰახინგი | შ | დუისბურგი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 1 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 4:0 | 90 | გააფრთხილეს | 1 | 0 | 1 |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | მოზერუელი 3:0 | 72 | შეცვალეს, გააფრთხილეს | 1 | 0 | 2 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | რაპიდი 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 2 | 0 | 9 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | შ | ჩერნო მორე 4:2 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი, გააფრთ. | 1 | 1 | 2 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | დინამო 2:1 | 63 | შეცვალეს | 12 | 2 | 4 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | დინამო 2:1 | 0 | სათადარიგო იყო | 70 | 4 | |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | დინამო 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია 0 | 0 | 4 | |
| ზურაბ მენთეშაშვილი | ალანია | ს | ცსკა 0:3 | 0 | განაცხადში არ იყო | 11 | 0 | 15 |
| დავით ხმელიძე | როსტოვი | ს | სატურნი 1:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 12 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | შინიკი 1:2 | 90 | 1 გოლი | 5 | 1 | 13 |
| ანზორ კალაძე | ურალანი | ს | შინიკი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 13 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | ტ. მეტალურგი | ს | კრილია 0:2 | 0 | განაცხადში არ იყო | 16 | 1 | 16 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 76 | | 5 | 4 | 7 |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | ჩერნომორეცი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | | | 7 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ზენიტი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| ბახვა ამბიძე | ბატისი | შ | ესილ-ბოგატირი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 6 | 0 | 16 |
| პაატა გამცემლიძე | ბატისი | შ | ესილ-ბოგატირი 2:1 | 0 | განაცხადში არ იყო | 11 | 0 | 16 |
| კახა გოგოლაძე | ბატისი | შ | ესილ-ბოგატირი 2:1 | 72 | 1 გოლი, შეცვალეს | 13 | 2 | 16 |
| ალექსანდრე ბურნაძე | ჟეტისუ | შ | ეკიბასტურეცი 3:1 | 74 | შეცვალეს | 2 | 0 | 8 |
| დავით ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ტობოლი 1:3 | 74 | შეცვალეს | 2 | 0 | 4 |
| დავით ჯანაშია | ატირაუ | შ | ტობოლი 1:3 | 90 | 1 გოლი | 2 | 2 | 4 |
| **აზერბაიჯანი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| თემურ ჩლაიძე | ხაზარი | ს | შამქირი 1:1 | ? | | ? | ? | 5 |
| დავით ჩიგოშვილი | ხაზარი | ს | შამქირი 1:1 | ? | | ? | ? | 5 |
| არჩილ სოხაძე | ხაზარი | ს | შამქირი 1:1 | ? | | ? | ? | 5 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

**სქოთური პრემიერლიგა** სენსაციურად დაიწყო — „სელტიკმა“ ვერ მოიგო. მოსისხლე თანაქალაქელთა სადებიუტო ჩავარდნით პირველივე ტურში ისარგებლა „რეინჯერსმა“. „ჩაფრებმა“ ისე რა გაქანების „კილმარნოკს“ გამოუყვანეს წირვა. თუ შემტევი შოთა არველაძე ამ მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს, ზურაბ ხიზანიშვილმა შეუცვლელად ითამაშა. ამასწინანდელ ამხანაგურ მატჩში მიღებული ტრავმის გამო ზურაბის თამაში მოულოდნელი იყო. ხიზანიშვილმა პირველი ბრძოლა მოუგო თანაპოზიციელ, „ჩაფართა“ ახალწვეულ ნამანჩესტერალ ჰენინგ ბერგს. ალექს მაკლიში ქართველს ენდო და არც შემცდარა, ხიზანიშვილი მთელი მატჩის განმავლობაში სტაბილური იყო. ქართველი უშეცდომოდ და კვალიფიციურად გაისარჯა. მისი გუნდი ანგარიშის გახსნამდე გვარიანად აწვალა „კილმარნოკმა“, სტუმრებმა ჩამორჩენის შემდეგაც არ დაყარეს ფარ-ხმალი და მედგრად იბრძოლეს, თუმც კლასმა თავისი გაიტანა და ბოლოს ტაბლოს მასპინძელთა 4:0 შერჩა.

„რეინჯერსზე“ ერთით ნაკლები გაიტანა გიორგი ნემსაძის „დანდიმ“. ქართველმა გაფრთხილება აიკიდა, თუმც ზომიერი პასებით და პოზიციური განსწავლულობით გარკვეული წვლილი შეიტანა „მოზერუელის“ სტუმრად მსხვრევაში.

თუ შოტლანდიური ტური ქართველთა გამარჯვებისა იყო, საპირისპირო ვითარება შეიქმნა ბუნდესლიგაში. ორივე ბუნდესლიგის ვერცერთმა „ქართულმა“ გუნდმა ვერ გაიმარჯვა. „შალკემ“ ზედიზედ მესამე ფრე გააგორა „ლიბერეცთან“ საინტერტოტოს მატჩის ჩათვლით, თუმც მეტად მძიმე თამაში ჰქონდა მიუნხენში. კობიაშვილი ნახევარდაცვაში ათამაშა იუპ ჰაინკესმა, ნამატჩევს შალკელებმა საქებარი სიტყვები არ დაიშურეს ქართველის მისამართით, „კიკერმა“ კი ჩვენებურის გარჯა მოკრძალებული შეფასებით — 3,5 ასახა. 3,5 მიიღო ლევან ცქიტიშვილმა, უფრო უარესი, 4-იანი დაუწერეს ალექსანდრე იაშვილს. „ფრაიბურგს“ პირველ ტაიმში კლდე დახვდა „ჰანზას“ სახით. როსტოკელებმა შესვენებამდე ორი ბურთით გააცილეს მასპინძლები, თუმც „ფრაიბურგმა“ მეორე ტაიმში გერმანული ჟინით იბურთავა და გაქვითვა შეძლო. მასპინძლებმა ეს ქართველთა გარეშეც მშვენივრად მოახერხეს. „ფრაის“ ორივე გოლში ჯამში შვიდმა ფეხბურთელმა მიიღო მონაწილეობა, თუმც მათ შორის ჩვენებურები არ ყოფილან.

უმაღლესი შეფასება — 2 გამოიტანა „ტრირი“ — აუე-ს მატჩიდან ხვიჩა შუბითიძემ. რუსთაველი შემტევი ლამის მარტო ებრძოდა ორბურთიანი ჰანდიკაპით დაწინაურებულ ტრირელებს და ბოლოს თავისი გაიტანა — შუბითიძემ ეფექტური დრიბლინგის შემდეგ შეძლო ანგარიშის შემცირება, თუმც მისმა გუნდმა მეტის გაკეთება ველარ მოახერხა. გერმანელი მიმომხილველები ამბობენ, აუე დაუმსახურებლად არის ბოლო ადგილზე და მალე გაიუმჯობესებს პოზიციებსო.

ორი ბურთით აგებდა ვასილ გიგიაძის „ურალანიც“, ქართველმა რომ გაიტანა. ვასო იაროსლავლში იქაურ მცველებს დაუსხლტა და ზუსტი დარტყმით ელისტელებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

ჯიგრით ითამაშა რუბინელმა დავით ჩალაძემ. ყაზანური გუნდი რუსულ პრემიერლიგაში აუღებელ ბასტიონად იქცა. დებიუტანტებმა კვირას ლონიერი „დინამო“ ჩაყლაპეს შინაურ კედლებში. ბრაზილიელ რონის მეორე გოლისას სწორედ ჩალაძემ გაუწია ასისტენტობა.

ყაზახეთში ორმა ქართველმა გაიტანა. კახა გოგოლაძემ „ესილ-ბოგატირთან“ საშინაო მატჩში თავისიანებს გაამარჯვებინა. დავით ჯანაშიამ კი „ატირაუს“ ფავორიტ „ტობოლთან“ ანგარიში დაასველებინა.

ჩახჩახა აზერბაიჯანულ ჩემპიონატში სამი ქართველი თამაშობს. სამივე უნივერსიტეტის გუნდ „ხაზარშია“. დებიუტს ურიგო არ ეთქმის. „სტუდენტებმა“ სტუმრად ფრე გააგორეს ჩვენს სამეზობლოში ფავორიტ „შამქირთან“.

**ბაატა ძგანტალიანი**

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# რუსები ებრაელებთან იამხანაგებენ

რუსეთი

**რუსეთის** ნაკრები 20 აგვისტოს ისრაელს ხვდება ამხანაგურად და ვალერი გაზაევმა იმ 22 ფეხბურთელის ვინაობა გამოაცხადა, ებრაელებთან სათამაშოდ რომ მოემზადებიან.

ნაკრებში ორი დებიუტანტია — იაროსლავლის „შინიკის“ მცველი დმიტრი ვასილიევი და მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელი რომან პავლიუჩენკო.

მაკედონიური „ვარდარისგან“ სირცხვილნაჭამ გაზაევს რუსულმა მედიამ კრიტიკის დიდი ცეცხლი შეუნთო. ვალერი გეორგიევიჩმაც ნაკრებს მიღმა დატოვა ცსკა-ს ნახევარმცველი იგორ იანოვსკი და მოსკოვის დინამოელი დმიტრი ბულიკინი.

რუსები ებრაელებთან მატჩში მოისაკლისებენ 33 წლის ვიქტორ ონოპკოსაც, გაზაევმა მისი გუნდში მიწვევა ამჯერზე მიზანშეუწონლად ჩათვალა.

მისი რჩეულნი კი ესენი არიან:

*მეკარეები:* სერგეი ოვჩინიკოვი (ლოკომოტივი), ვენიამინ მანდრიკინი (ცსკა);

*მცველები:* ალექსეი ბერეზუცკი, ვასილი ბერეზუცკი, დენის ევსიკოვი (სამივე ცსკა), სერგეი იგნაშევიჩი, გენადი ნიჟეგოროდოვი, დმიტრი სენიკოვი (სამივე ლოკომოტივი), იური კოვტუნი (სპარტაკი), დმიტრი ვასილიევი (შინიკი);

*ნახევარმცველები:* სერგეი სემაკი, როლან გუსევი (ორივე ცსკა), დმიტრი ხოხლოვი, დმიტრი ლოსკოვი (ორივე ლოკომოტივი), ალექსეი სმერტინი (ბორდო, საფრანგეთი), ანდრეი კარიაკა (კრილია სოვეტოვი), ევგენი ალდონინი (როტორი), პიოტრ ბისტროვი (სატურნი);

*თავდამსხმელები:* დმიტრი სიჩოვი (მარსელი, საფრანგეთი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), დენის პოპოვი (ცსკა), რომან პავლიუჩენკო (სპარტაკი)



ნავარდარევმა ვალერი გაზაევმა ისრაელთანაც თუ წააგო, საკაცეზე დასაწვენი შეიქნება



ტიმ ჰოვარდმა ჩინებული დებიუტი მოიწყო: პენალტი არც რობერ პირესს გაატანინა

# ამხანაგური ომები

## ტიმ ჰოვარდმა მეთოფეებს ჩარითი შილდი წაართვა

### ინგლისი

#### სუპერთასი

**არსენალი 1:1დ.დ.(პენ.3:4, 1:1) მანჩესტერი**

0:1 სილვესტრი (15), 1:1 ანრი (20)

პენალტები: 0:1 სქოულზი, 1:1 ედუ, 1:2 ფერდინანდი, 1:2 ვან ბრონკჰორსტი (მეკარე), 1:2 ვან ნისტელროი (მეკარე), 2:2 ვილტორდი, 2:3 სოლსკიაერი, 3:3 ლორენი, 3:4 ფორლანი, 3:4 პირესი (მეკარე)

არსენალი: ლემანი, ლორენი, ს. კემპბელი, კ. ტურე, ეშლი კოული, პარლოუ (პირესი 46), ლიუნგბერგი (ვან ბრონკჰორსტი 65), ჟილბერტო სილვა (ედუ 61), ვიეირა, ანრი (ვილტორდი 46), ბერხკამპი (ჯეფერსი 60)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მანჩესტერი: ჰოვარდი, ფ. ნევილი (ფორლანი 78), რ. ფერდინანდი, სილვესტრი, ფორჩუნი (ოში 69), სოლსკიაერი, ბათი (ჯემბა-ჯემბა 60), როი კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ნევილი, კოული, ვიეირა, სქოულზი, ფორჩუნი

გაძევება: ჯეფერსი (74)

მსაჯი: ბენეტი

59 293 მაყურებელი

ამერიკელი მეკარე ტიმ ჰოვარდი პირველად მოხვდა დიდ ინგლისურ დაპირისპირებაში და მატჩის გმირის მანტიაც კოხტად მოირგო განიერ მხრებზე კვირას, კარდიფის „მილენიუმზე" „მანჩესტერ" — „არსენალის" ჩარითი შილდის გათამაშება პენალტებით დასრულდა და მანჩესტერელთა მეკარე ჰოვარდმა ორი პენალტი აუღო „მეთოფეებს" და სეზონის პირველი ჯილდო მოუტანა თავის გუნდს.

ჰოვარდმა მოიგერია ჯოვანი ვან ბრონკჰორსტისა და რობერ პირესის თერთმეტმეტრიანები და ამით თამაშისას დაშვებული შეცდომა გამოასწორა, ტიერი ანრის კარგა შორიდან დახვეული საჯარიმო დარტყმა რომ გაუშვა. ანრიმ ამ გოლით გაქვითა მიკაელ სილვესტრის ბურთი, რომლითაც „მანჩესტერი" იგებდა.

სეზონის ამ პირველმა, პრინციპში ამხანაგურმა თამაშმა აჩვენა, რომ ჯერ არდაწყებულ პრემიერლიგას კვლავ ძველი ფავორიტები ჰყავს და რომ დანდობა არ იქნება.

ჩარითი შილდის პირველ ოთხმოცდაათ წამშივე ძვლების ჭახაჭუხი ატყდა: 27-ე წამზე ფილ ნევილმა მიიღო ყვითელი ბარათი პატრიკ ვიეირას მოცელვისთვის, წუთის თავზე კი ეშლი კოული მოხვდა მსაჯ სტივ ბენეტის ბლოკნოტში, მან ოლე გუნარ სოლსკიაერის წაქცევის გამო.

მეორე ტაიმში ბენეტმა საერთოდაც გააძევა მინდვრიდან შეცვლაზე შესული ფრენსის ჯეფერსი, რომელმაც უმცროს ნევილს კინაღამ ფეხი მოსტეხა.

ამბიცია ორივე მხრიდან დიდი იყო, თუმცა „არსენალს" კვლავ ფარღალალა მოუჩანდა დაცვის ხაზი, რომელმაც, სხვათა შორის, შარშან ტიტული დაათმობინა. ამიტომაც ანგარიში „მანჩესტერმა" გახსნა, სპილოსძვლისპირელი კოლო ტურე, რომელიც არსენ ვენგერმა დაცვის ცენტრმა გაამწესა, გვარიანად დაბნეული ჩანდა. გოლი გიგზის კუთხურს მოჰყვა. ტურემ სილვესტრი მიატოვა, როი კინმა წაიჩალიჩა და „მანჩესტერის" ფრანგმა მცველმა ანგარიში გახსნა. საერთოდ, სილვესტრი საუკეთესო იყო მანჩესტერელთა შორის, თავის ნახევარზე ანრი დატანჯა, მოწინაალმდეგისაზე მეთოფე მცველები. მაგრამ სილვესტრი ვერაფერს გააწყობდა ანრის საჯარიმო დარტყმის წინააღმდეგ: ნიკი ბათმა ვიეირა მოცელა და ფრანგმა ამერიკელ მეკარეს აჯობა. ჰოვარდმა შეცდომა დაუშვა: კედელი ცუდად დააყენა და ნახტომიც დაუგვიანდა.

ამის მიუხედავად ამერიკელი არ გატყდა და პირესსა და ანრის კარგი ბურთები აუღო. მანჩესტერელმა ერიკ ჯემბა-ჯემბამ იმდენი ქნა, რომ სოლ კემპბელი ძლივს გადაურჩა გაძევებას.

თამაში ფრედ დასრულდა. „მეთოფეთა" ახალმა მეკარემ იენს ლემანმაც მოიგერია ერთი პენალტი — თანაც, რუუდ ვან ნისტელროის დარტყმული. ოღონდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

თამაშის შემდეგ ჰოვარდმა თქვა: „სულაც არ ვიცი, ძირითადში ვიქნები, თუ არა. ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. გუნდში ოთხი კარგი მეკარეა".

ვენგერმა კი გაძევებული ჯეფერსის ნაცვლად მოიბოდიშა: „ფრენსისმა იცის, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო. ის ბოდიშს იხდის და თავის შეცდომას გრძნობს".

ამასობაში, ჩარითი შილდი როი კინმა ასწია.

**ირაკლი გამყრელიძე**



ცხადია, ამ წიხლაობისთვის ჯეფრი ჯეფერსი მოედანზე აღარ გააჩერეს

# სელტიკმა გოლის ფრეს გაატანა

### შოტლანდია

#### პრემიერლიგა. I ტური

**რეინჯერსი 4:0 კილმარნოკი**

1:0 ლოვენკრანდსი (14), 2:0 მოლსი (38), 3:0, 4:0 არტეტა (43პ, 72)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მორის როსი, კ. მური, ხიზანიშვილი, ბოლი (ვანოლი 63), რიკსენი (ტომპსონი 81), ბ. ფერგიუსონი, არტეტა (მალკოლმი 76), რ. დე ბური, მოლსი, ლოვენკრანდსი

შოთა არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: ხიზანიშვილი, ფერგიუსონი

მსაჯი: როუბოთემი

49 108 მაყურებელი

**მოზერუელი 0:3 დანდი**

0:1 რაე (23), 0:2 უილკი (43), 0:3 სმიტი (84)

დანდი: სპერონი, მაირი, უილკი, მაკეი, სმიტი, ნემსაძე (კარანცა 72), რაე (იაბლონსკი 88), ერნანდესი, ლოველი (კაბალიერო 88), ბრედი, ნოვო

მწვრთნელი: ჯიმ დაფი

გაფრთხილება: ერნანდესი, ლოველი, ნემსაძე

მსაჯი: ანდერპილი

6 812 მაყურებელი

**დანდი იუნ. 1:2 ჰიბერნიანი**

1:0 სამუელი (46), 1:1 რიორდანი (74), 1:2 მაკმანუსი (88)

**დანფერმლაინი 0:0 სელტიკი**

**ჰართსი 2:0 აბერდინი**

1:0 დე ვრიზი (16), 2:0 კირკი (90)

პარტიკი 1:1 ლივინგსტონი

1:0 მილნი (31), 1:1 პასკვინელი (77)

ქართველთათვის შოტლანდიური პრემიერლიგა დიდებულად დაიწყო — არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსმა" და ნემსაძის „დანდიმ" ერთი ამოსუნთქვით შეუბერეს სული მეტოქეებს, ხოლო „სელტიკი" ოდენ უგოლო ფრეს გამორჩა.

კარგი დებიუტი ჰქონდა „რეინჯერსში" ზურაბ ხიზანიშვილს — მან უშეცდომოდ, ძალიან აღლიიანად ითამაშა დაცვაში.

„ჩემს ფეხბურთელებს კომპლიმენტი უნდა ვუთხრა. მათ განსაკუთრებით პირველ ტაიმში ითამაშეს დიდებულად" — განაცხადა ნამატჩევს „ჩაფრების" მენეჯერმა ალექს მაკლიშმა.

„რეინჯერსისთვის" საგულისხმო ფაქტი ისიცაა, რომ 2001 წლის დეკემბრის შემდეგ პირველად ითამაშა ინგლისელმა მცველმა მიხაელ ბოლმა — მას ტრავმა სტანჯავდა.

„რეინჯერსმა", ფაქტობრივად, ათკაციან „კილმარნოკს" მოუგო, მაგრამ „აიბროქსზე" მისული 49 000 გულშემატკივარი დიდად კმაყოფილი ტოვებდა სტადიონს.

თავისებური ინტრიგა ჰქონდა „დანფერმლაინ" — „სელტიკის" მატჩს. იქნებ გახსოვთ კიდეც, რომ წინა პრემიერლიგის ბოლო ტურში „რეინჯერსმა" 6:1 მოუგო „დანფერმლაინს" და ბურთების უკეთესი სხვაობით აჯობა თანაბარქულიან „სელტიკს". მაშინ სელტიკელმა კრის სატონმა წამოაყრანტალა, „დანფერმლაინი" „რეინჯერსს" დაუწვაო, თუმც მალევე ბოდიში მოიხადა.

ამ მატჩისთვის კი სატონი დისკვალიფიცირებული გახლდათ, მაგრამ „სელტიკს" უიმისოდაც უნდა მოეგო — იოჰან მიალბიმ, ჰენრიკ ლარსონმა და ალან ტომპსონმა საგოლე მომენტები გაანიავეს.

„მიუხედავად ყველაფრისა, კარგად ვითამაშეთ, ჩვენი გულშემატკივრები კი ძალიან კარგად მოიქცნენ" — უთქვამს მატჩის შემდეგ „სელტიკის" დამრიგებელ მარტინ ონილს, რომელმაც კელტური ფანობა იმად შეაქო, რომ „რეინჯერს" — „დანფერმლაინის" მატჩი გულში ბოლმად არ ჩაუდვიათ.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| დანდი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ჰართსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ჰიბერნიანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| პარტიკ თისლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლივინგსტონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სელტიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დანფერმლაინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დანდი იუნ. | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| აბერდინი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| მოზერუელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| კილმარნოკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

#### I დივიზიონი

1-ლი ტური: კლაიდი — ეარი 3:0; ფოლკირკი — ინვერნესი 2:1; რეითი — სენტ მირენი 1:1; როსი — ბრეჩინი 4:0; სენტ ჯონსტონი — ქუინ ოფ საუთ 4:1

#### II დივიზიონი

1-ლი ტური: ალოა — დამბარტონი 1:2; არბროთი — ბერვიკი 1:0; ისტ ფაიფი — სტენჰაუზმური 3:2; გრინოკ მორტონი — ერდრი 3:1; ჰამილტონი — ფორფარი 1:2

#### III დივიზიონი

1-ლი ტური: ალბიონი — სტრანრარი 1:1; ელგინი — ისტ სტირლინგი 3:1; გრეტნა — ქუინზ პარკი 1:1; მონტროუზი — პიტერჰედი 0:1; სტირლინგი — კოუდენბითი 0:0



რეინჯერსელთა ოთხი გოლიდან ერთი მიხაელ მოლსისა იყო

#### მორეტის სამთა ტურნირი

**იუვენტუსი 2:1 ინტერი**

1:0 კამორანეზი (7), 2:0 დი ვაიო (16), 2:1 კრესპო (59)

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, მონტერო, ლეგროტალიე, ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, აპია, ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, ჰელვეგი, ლუსიანო, ლამუში, ოკანი, ვან დერ მეიდე (პასკუალე 15), კრესპო, ვიერი

**იუვენტუსი 1:1(პენ.5:4) სამპდორია**

0:1 ბედონე (1), 1:1 დი ვაიო (4)

იუვენტუსი: კიმენტი, ფრეზი, ფერარა, იულიანო, პესოტო (აპია 63), ა. კონტე, მარესკა, დავიდსი, ოლივერა, დი ვაიო (ძამბროტა 51), ნიკოლი

სამპდორია: ტურჩი, დიანა, მ. კონტე (კაროციერი 57), გრანდონი, საკეტი, დონი (ანტონინი 51), ბედონე, ვოლპი, პალომბო, ფლაკი (იანაგისავა 55), ბაცანი (ჯობი 62)

# გერმანია

## ბუნდესლიგა. II ტური

### მიუნხენი 1:1 შალკე

1:0 შროტი (19), 1:1 როდრიგესი (56)

მიუნხენი: მ. ჰოფმანი, გიორლიცი, ტ. ჰოფმანი, როდრიგო კოშტა, საარინენი, შვარცი (კურცი 85), ტისი (რ. მაიერი 78), ჩერნი, ვაისენბერგერი (პიურკი 60), ლაუტი, შროტი
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
შალკე: ფ. როსტი, ჰაიტო, როდრიგესი (ტროიანი 85), მატელანი, ვან კერკჰოვენი, კლასენერი, პოულსენი, ქობიაშვილი, ზაიცი, ჰანკე (აგალი 57), სანდი (ჰამიტ ალტინტოპი 71)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: საარინენი, ლაუტი
მსაჯი: კოოპი
33 000 მაყურებელი

### ფრაიბურგი 2:2 ჰანზა

0:1 პრიკა (11), 0:2 მაქსი (45), 1:2 კულიბალი (56პ), 2:2 ბაირამოვიჩი (87)

ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, ბ. დიარა, რაიტერი, ცქიტიშვილი, ბაირამოვიჩი, ა. ცაიერი (ბერნერი 74), კულიბალი, ტანკო (ვილი 46), იაშვილი, კაირო (გუიე-მიენი 67)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
ჰანზა: შობერი, ტიკუზუ, კინცი, ჰილი, მელკამი, პლასნეგერი (კოვარი 62), ადუბე, ლანცი, შულცი (მაული 72), მაქსი, პრიკა (პერსონი 83)
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: ცქიტიშვილი, კინცი, მაქსი
მსაჯი: შიპელი
23 500 მაყურებელი

### აინტრახტი 1:2 ლევერკუზენი

1:0 ფრომერი (42), 1:1 შნაიდერი (51), 1:2 ჩიპი (84ს.კ.)

აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, ჩიპი, ი. კელერი (ცომუ-მადზა 6), ვიდენერი, შური, ლექსა, დრაგუშა (კროიცი 70), შკელა, ჩა (ჯონსი 55), ფრომერი
მწვრთნელი: ვილი რაიმანი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ბალიტჩი, ლუსიო, ჟუანი, პლასენტე, რამელო, ბ. შნაიდერი (ბიროფკა 62), ბაბიჩი, პონტე, ნოივილი (ლუკიჩი 87), ფრანცა (ბერბატოვი 70)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: ჩა, შკელა, პლასენტე, ჟუანი, ბაბიჩი
მსაჯი: კესლერი
22 500 მაყურებელი

### დორტმუნდი 4:0 ვოლფსბურგი

1:0, 2:0 როსიცკი (25, 51), 3:0 ამოროზო (74), 4:0 კოლერი (87)

დორტმუნდი: ვაიდენფელერი, შ. როიტერი (ფერნანდესი 85), ვიორნსი, მადუნი, ბერგდოლმო, ფ. კონსეისაო, ო. ადო, დედე, როსიცკი (რიკენი 79), კოლერი, ამოროზო (ევერტონი 75)
მწვრთნელი: მათიას ზამერი
ვოლფსბურგი: იენჩი, რიტერი, ბილიშკოვი, შნოორი, ვაიზერი, შარპეი (კარპანი 63), ტიამი, დალესანდრო (სტრაიტი 68), ტოპიჩი, მ. პეტროვი, კლიმოვიჩი (ს. მიულერი 59)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
გაფრთხილება: ბილიშკოვი, დალესანდრო, რიტერი
მსაჯი: შტაინბორნი
72 500 მაყურებელი

### ჰანოვერი 3:3 ბაიერნი

1:0 კრუპნიკოვიჩი (9), 2:0 სტაინერი (26), 2:1 ბალაკი (39), 3:1 კრისტიანსენი (43), 3:2 პიზარო (49), 3:3 ჰარგრივსი (90)

ჰანოვერი: ტრემელი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ვინისიუსი, დე გუზმანი, ლალა, კრუპნიკოვიჩი (შტეფული 76), შიმაკი (დაბროვსკი 62), სტაინერი, იდრისუ, კრისტიანსენი (ბრდარიჩი 62)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
ბაიერნი: კანი, სალიჰამიჯიჩი, რ. კოვაჩი (იერემისი 86), თ. ლინკე, რაუ (სანიოლი 46), ჰარგრივსი, ბალაკი, დაისლერი (შვაინშტაიგერი 46), ზე რობერტო, ელბერი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: დე გუზმანი, კრუნიკოვიჩი, ელბერი
გაძევება: იდრისუ (83)
მსაჯი: აუსტი
23 217 მაყურებელი

# გერმანელი მეხანძრის ჭადნიერება ლაუტერნი კვლავაც უცნაურია



დასიცხული ჰანოვერელები მეხანძრეებმა გააგრილეს

ბუნდესლიგაში ლევერკუზენის „ბაიერი" გალიდერდა და ბევრს მიაჩნია, რომ ეს შემთხვევითობა არაა. მართლაც ლევერკუზენელები შედეგის გარდა კარგი თამაშითაც გამოირჩევიან და ალბათ, წინა ჩაგდებული სეზონის შემდეგ კვლავაც მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებენ.

ფრანკფურტში კლაუს აუგენტალერის გუნდს მძიმე ბრძოლა გადახდა. „აინტრახტი" პირველი ტაიმის მიწურულს დაწინაურდა ნიკო ფრომერის გოლით. „ლევერკუზენმა" ბერნდ შნაიდერის დარტყმით კი გაათანაბრა, მაგრამ სტუმრებს ამაში რიკოშეტიც დაეხმარა. მატჩის მიწურულს ლევერკუზენელებმა კიდევ უფრო მედგრად შეუტიეს და ალბანელი ჯერი ჩიპი აიძულეს, ავტოგოლი გაეტანა.

მოკლედ, „ლევერკუზენი" აინტრახტში კი გალიდერდა, მაგრამ ტურის მთავარი და უმძაფრესი მატჩი ჰანოვერში გაიმართა. გერმანული წყაროების ცნობით, ბუნდესლიგის ისტორიაში ეს ტური ყველაზე სიცხიანი იყო — ტემპერატურა 40 გრადუსს გადასცდა. მიუხედავად ამისა, ჰანოვერის სტადიონი AWD სრულიად შეივსო — 28 500 კაცი მივიდა. არადა, ამ არენის ტრიბუნები გადახურული არაა და მზეც მთელი სიკაშკაშით აცხუნებდა იქაურობას. სტადიონზე ჩამომდგარი სახანძრო მანქანები კი უქმად არ დარჩენილან — მეხანძრეები ისე გაკადნიერდნენ, რომ ცივი წყალი ჭავლით მიუშვეს ხალხიან ტრიბუნებს — უკმაყოფილო არავინ დარჩენილა.

ნებოისა კრუპნიკოვიჩი და ირჟი სტაინერი სიცხეს არ შეუშინდნენ და ორ წუთში ორჯერ გამოაღებინეს კარიდან ბურთი ოლივერ კანს. განსაკუთრებულად ლამაზი იყო კრუპნიკოვიჩის 25 მეტრიდან გატანილი გოლი.

მიხაელ ბალაკმა „ჰანოვერის" მეკარის გერდ ტრემელის „დახმარებით" ერთი ბურთი კი გაქვითა, თუმც ოთხი წუთიც და „ჰანოვერმა" ორბურთიანი უპირატესობა აღადგინა — ტომას კრისტიანსენმა ათიოდე მეტრიდან გაიტანა.

ოტმარ ჰიცფელდმა სებასტიან დაისლერი და ტობიას რაუ გამოცვალა მეორე ტაიმისთვის — ვინძლო „ბაიერნმა" ამ შეცვლებით გარდატეხა თამაში — კლაუდიო პიზარომ სწორედ დაისლერის შემცვლელის, ბასტიან შვაინსტაიგერის პასით შეაგდო. „ბაიერნი" შეტევებს აგრძელებდა, მაგრამ რამდენიმე გამოუყენებელი საგოლე მომენტის გამო საქმე ერთობ გაუჯანჯლდა. არბიტრმა ერთი წუთი დაამატა და სწორედ მაშინ მოინადირა ჯარიმა პიზარომ, რომელიც შესანიშნავად შეასრულა ინგლისელმა ყმაწვილმა ოუენ ჰარგრივსმა.

ქართველთა „ფრაიბურგმა" ძლივს გადაურჩა წაგებას, თუმც იმით თუ დავიმშვიდებთ, რომ ფოლკერ ფინკეს გუნდმა შეუპოვრობა გამოავლინა და ორი ბურთი ამოუქაჩა როსტოკელებს.

ჰანოვერზე არანაკლები ხვატი ყოფილა შტუტგარტში და მატჩიც დიდი ვერაფერი ხვითო გამოდგა. თუ საგოლე მომენტებით ვიმსჯელებთ, „ჰერტას" უნდა მოეგო — პოლონელმა შემტევმა არტურ ვიშნიარეკმა ახლოდან თავური ვერ გაიტანა. ვიშნიარეკი მოგვიანებით გააძევეს მსაჯთან შელაპარაკებისთვის.

„კაიზერსლაუტერნმა" ერთხელაც დაამტკიცა, რომ უცნაური გუნდია. ერიკ გერეტსის ბიჭები მეკარე ტიმ ვიზემ გვარიანად აწკავწკავა. მეორე ტაიმში დირკ ლოტნერს აუღო 11-მეტრიანი, ათი წუთის შემდეგ კი მსაჯს თავი გააგდებინა — საჯარიმო მოედნის გარეთ ერთ-ერთ კიოლნელს ეუხეშა. თუმც „ლაუტერნი" არ შედრკა და ბერძენი ნახევარმცველის დიმიტრიოს გრამოცისის გოლით სამი ქულა მიითვალა.

„დორტმუნდის" და მისი ჩეხი პლეიმეიკერის ტომაშ როსიცკის დღე იყო „ვესტფალენშტადიონზე". ნამატჩევს ამ სტადიონს 70 ათასზე მეტი ფანი შემოერტყა, რომლებიც „ბორუსიას" გამარჯვებას ზეიმობდა — „ვოლფსბურგის" ასეთი მარცხი კი მართლაც მოულოდნელი იყო.

ბოხუმში „ჰამბურგს" უნდა მოეგო, მაგრამ ჩრდილოელთაგან მხოლოდ იაპონელ ნაოჰირო ტაკაჰარას არ უმტყუნა სიზუსტემ.

**დავით თავართქილაძე**

### შტუტგარტი 0:0 ჰერტა

შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, გერბერი, გლები, სოლდო (მაისნერი 59), ვრანიეში, ჰელდტი (კაკაუ 83), კურანი, ამანატიდისი (საბიჩი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ჰერტა: კირალი, რემერი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფრიდრიხი (ლაპაჩინსკი 79), გოორი, დარდაი (ტ. მარქსი 67), ნ. კოვაჩი, ნოინდორფი, ვიშნიარეკი, ბობიჩი (კარვანი 64)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ჰელდტი, ბობიჩი, დარდაი, კოვაჩი, მარქსი
გაძევება: ვიშნიარეკი (82)
მსაჯი: კემლინგი
37 000 მაყურებელი

### ბოხუმი 1:1 ჰამბურგი

0:1 ტაკაჰარა (19), 1:1 მადსენი (30)

ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, ბიონიგი, ცდებელი (ტ. გუდიონსონი 46), ოლისე (ფ. ტაპალოვიჩი 66), ვოში, ფრაიერი, პ. მადსენი (ბაკლი 57), დიაბანგი
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, იაკობსენი, ჰოოგმა, უიფალუში, რანი, მალტრიცი, მაინლიხი, ბარბარესი, მაჰდავიკია, რომეო (ა. მაიერი 68), ტაკაჰარა
მწვრთნელი: კურტ იარა
გაფრთხილება: რანი, რომეო, უიფალუში
მსაჯი: ვაგნერი
20 400 მაყურებელი

### ვერდერი 1:1 მიონხენგლადბახი

1:0 აილტონი (64პ), 1:1 ვან ჰუტი (81)

ვერდერი: რაინკე, სტალტერი, ისმაელი, კრსტაიჩი, მანინი (ველაგე 37), ბაუმანი, ლისტეში, ფ. ერნსტი, მიკუ, ხარისტიასი, აილტონი
მწვრთნელი: თომას შააფი
მიონხენგლადბახი: შტილი, შტრასერი, პლეტჩი, ასანინი, კლუგე (ვან ლენტი 69), კორზინეცი, დემო (ვან ჰუტი 69), ულიხი, კეტელაერი, სკოუბო (სვერკოში 83), კოლკა
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
გაფრთხილება: ლისტეში
მსაჯი: ტრაუტმანი
30 100 მაყურებელი

### კიოლნი 1:2 კაიზერსლაუტერნი

1:0 ებერსი (37), 1:1 კლოზე (39), 1:2 გრამოცისი (75)

ლოტნერმა ვერ გაიტანა პენალტი (55, მეკარე)

კიოლნი: ვესელსი, ო. შრიოდერი, კულმანი, დოგანი (ჰაპე 11; ჰელბიგი 83), ჰაინრიხი, შინდცილორცი, შპრინგერი (კრინგე 77), ლოტნერი, შერცი, ვორონინი, ებერსი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
კაიზერსლაუტერნი: ვიზე, ვრევენი, ლემბი, კნავსი, გრამოცისი, ხრისტოვი, ფროინდი, ნურმელა, კოსოვსკი (დომინგუში 53), კლოზე (ჰალილ ალტინტოპი 64), ლოკვენცი (თ. ერნსტი 64)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: ჰაპე, ლოტნერი, ვორონინი, ფროინდი, ვიზე, ხრისტოვი, ვიზე, ვრევენი, ნურმელა
გაძევება: ვიზე (64)
მსაჯი: ფლაიშერი
33 000 მაყურებელი



კლაუს აუგენტალერი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 2 დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 3 ჰანოვერი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 4 ვერდერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 |
| 5 ბაიერნი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 2 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 0 | 1 |
| 6 შტუტგარტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 7 მიუნხენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 8 გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 9 ლაუტერნი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 10 ვოლფსბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | -3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 11 შალკე | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 ბოხუმი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 13 ჰანზა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 14 ფრაიბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:6 | -3 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 15 ჰამბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 16 ჰერტა | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 17 კიოლნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 აინტრახტი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 |

### III ტური

16 აგვისტო

ვოლფსბურგი — ჰამბურგი
ლაუტერნი — ვერდერი
გლადბახი — შტუტგარტი
ჰერტა — ფრაიბურგი
ჰანზა — აინტრახტი
ლევერკუზენი — ჰანოვერი
ბაიერნი — ბოხუმი
დორტმუნდი — მიუნხენი
შალკე — კიოლნი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| აილტონი (ვერდერი) | 3 |
| ჰამიტ ალტინტოპი (შალკე) | 2 |
| საბიჩი (შტუტგარტი) | 2 |
| სტაინერი (ჰანოვერი) | 2 |
| შროტი (მიუნხენი) | 2 |
| როსიცკი (დორტმუნდი) | 2 |
| პიზარო (ბაიერნი) | 2 |
| მადსენი (ბოხუმი) | 2 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 2 |

## მეორე ბუნდესლიგა

### II ტური

### ტრირი 2:1 აუე

1:0, 2:0 ვინკლერი (20, 33), 2:1 შუბითიძე (50)

აუე: რ. პეტკოვი, ნოვესკი (კრასელტი 46), კურტი, იენდროსეკი, მ. ჰაიდრიხი, გ. ბერგერი, გრუნდი (იანკი 77), რემი, კური, შუბითიძე, მ. კუნცე (ულმანი 77)

### რეგენსბურგი 0:0 ფიურტი

### ლიუბეკი 0:0 არმინია

### ნიურნბერგი 2:0 ბურგჰაუზენი

1:0 კრჟინოვეკი (45), 2:0 ს. ჩირიჩი (64)

### ობერჰაუზენი 1:3 ალენი

1:0 სიმიონი (7), 1:1 ბამბა (62), 1:2 ბ. ნდიაიე (82), 1:3 სოპიჩი (90)

### ოსნაბრიუკი 1:2 კარლსრუე

0:1 საენკო (22), 1:1 შიდი (58), 1:2 საენკო (59)

### უნიონი 0:1 კოტბუსი

0:1 რეგეკამპფი (20პ)

### უნტერჰახინგი 1:0 დუისბურგი

1:0 შუკალო (84)

### ალემანია — მაინცი

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ნიურნბერგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ტრირი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 6 |
| რეგენსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| ალენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მაინცი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ობერჰაუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კოტბუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ოსნაბრიუკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| დუისბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ალემანია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლიუბეკი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ფიურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| არმინია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ბურგჰაუზენი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| უნიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| აუე | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-2 ტური: ჰამბურგი (მ) — იურდინგენი 0:2; ვუპერტალერი — ბრაუნშვაიგი 1:1; ესენი — ვერდერი (მ) 1:1; პადერბორნი — ლაიპციგი 2:1; დინამო — ვატენშაიდი 4:2; ზანკტ პაული — მიუნსტერი 1:1; შალკე (მ) — დორტმუნდი (მ) 0:2; კილი — ნოიმიუნსტერი 4:0; ქემნიცი — კიოლნი (მ) 0:0

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-2 ტური: შვაინფურტი — ბაიერნი (მ) 0:2; ჰოფენჰაიმი — ელვერსბერგი 1:0; პფულენდორფი — ეშბორნი 0:2; ერფურტი — ზიგენი 2:1; ზაარბრიუკენი — აალენი 5:1; აუგსბურგი — ფოიხტი 3:1; ვეჰენი — კიკერსი 1:1; შტუტგარტი (მ) — ოფენბახი 0:1; მაინცი (მ) — კაიზერსლაუტერნი (მ) 0:2

## გერმანია. ბუნდესლიგა
## მეორე ტური

### მიუნხენი 1:1 შალკე

ლევან კობიაშვილი: 90 წუთი

# ბრწყინვალე ქართველი

**როტაციის** პრინციპი მხოლოდ ოტმარ ჰიცფელდს როდი უყვარს — „შალკეს“ დამრიგებელმა იუპ ჰაინკესმა წინა ტურის შემდეგ სასტარტო შემადგენლობა ნახევრად შეცვალა — ხუთი ახალი ფეხბურთელი ათამაშა.

სიცხითა და მზით მიუნხენიც გაითანგა — ტემპერატურამ 44 ცელსიუსს უწია. პირველი სახიფათო მომენტი „შალკემ“ შექმნა — იოხენ ზაიცის დარტყმული „მიუნხენ 1860“-ის მეკარე მიხაელ ჰოფმანმა მოიგერია. თუმც პირველი ტაიმი მასპინძლების იყო და მე-19 წუთზე „შალკეს“ მცველთაგან უმეთვალყურეოდ დარჩენილმა მარკუს შროტმა თავით გაიტანა. გელზენკირხენელებს პირველ ტაიმშივე შეეძლოთ გათანაბრება — ნიკო ვან კერკჰოვენის გასროლილზე ისევ ჰოფმანმა გამოიდო თავი.

მეორე ტაიმში „შალკე“ სრულ უპირატესობას ფლობდა. საგოლე კომბინაცია „ხუმარათა“ ახალგაზრდული გუნდის კაპიტანმა ტომას კლასენერმა წამოიწყო, ბურთი მაიკ ჰანკეს გაადაწოდა, მან კი ურთულესი სიტუაციიდან ურუგვაელ დარიო როდრიგესს გაუხერხა საგოლე გადაცემა.

ლევან კობიაშვილი ჰაინკესმა წინა ტურში დაცვაში კი ათამაშა, მაგრამ „1860“-თან ნახევარდაცვაში გაამწესა. კობიაშვილს გოლის გატანის შანსი ერთხელ ჰქონდა — საჯარიმოს გარედან დაბალი ბურთი მოსხიპა და ჰოფმანმა გაჭირვებით მოიგერია. „შალკეს“ ვებგვერდზე კი დაიწერა, 24 წლის ქართველი ბრწყინვალე იყო — ასეთი ქათინაური სხვა შალკელს არ რგებია.

ნამატჩევს ჰაინკესმა თქვა, შემადგენლობის როტაციას იმად მივმართავ, რომ ინტერტოტოს თასზე წარმატებით გამოსვლა და უეფას თასის საგზურიც გვწადია, რის გამოც კვირაში ორჯერ მოგვიწევს თამაში, თანაც 30 გრადუსზე მეტ სიცხეში.

**დავით თამართილაძე**



მიუნხენში სიცხემ 40 გრადუსს უწია

## ბელგია

### იუპილერლიგა. I ტური

**ბრიუგე 1:0 გენკი**
1:0 მენდოსა (58)

**ანდერლეხტი 3:1 ანტვერპენი**
1:0 ზეტერბერგი (35), 1:1 მუსა (41), 2:1, 3:1 იესტროვიჩი (45, 82პ)

**შარლერუა 0:1 ლიერსი**
0:1 ფრიგარდი (88)

**ბეერსხოტი 1:0 მონსი**
1:0 მ. კამარა (52)

**ლოკერენი 0:0 სენტ ტრუიდენი**

**ვესტერლო 0:0 ლუვიე**

**ბევერენი 2:4 გენტი**
0:1 დიმბალა (7), 1:1, 2:1 კაიპერი (20, 44), 2:2 დიმბალა (45), 2:3 ზეზეტო (71), 2:4 რიბუსი (74პ)

**ჰეუსდენი 0:0 სერკლ ბრიუგე**

**მუსკრონი 2:2 სტანდარდი**
0:1 კომოტო (8), 0:2 ვალასიაკი (33), 1:2 მარტინი (44), 2:2 დე ფლიშაუერი (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ლიერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბრიუგე | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბეერსხოტი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სტანდარდი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| მუსკრონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ვესტერლო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლოკერენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სერკლი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სენტ ტრუიდენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლუვიე | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰეუსდენი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გენკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| შარლერუა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მონსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბევერენი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| ანტვერპენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

## ხორვატია

მე-3 ტური: ხლავენი — ციბალია 0:0; მარსონია — ზადარი 4:1; ზაგრები — კამენ ინგრადი 3:1; ოსიეკი — ვარტექსი 3:2; შაიდუკი — ინკერი 1:4. რიეკა — დინამო წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)

## თურქეთი

### სუპერლიგა. 1 ტური

სებათსფორი — დენიზლი 0:2; ადანა — მალათია 0:1; რიზე — ანკარაგიუჯიუ 2:1; ფენერბაჰჩე — ისთანბული 0:3; ქონია — ტრაბზონი 3:3; გენჩლერი — ელაზიგი 2:3; ბურსა — გაზიანთეფი 0:0; გალათასარაი — დიარბაქირი 2:1; სამსუნი — ბეშიქთაში 1:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისთანბული | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ბეშიქთაში | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| დენიზლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ელაზიგსფორი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| გალათასარაი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რიზე | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| მალათია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტრაბზონი | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| კონია | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| გაზიანთეფი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ბურსა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გენჩლერბირლიგი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| დიარბაქირი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ანკარაგიუჯიუ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ადანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სამსუნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| სებათი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ფენერბაჰჩე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა. III ტურის მატჩი

**პაშინგი 3:2 ზალცბურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| გრაცერი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:2 | 9 |
| ბრეგენცი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:6 | 7 |
| აუსტრია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| კერნტენი | 4 | 1 | 3 | 0 | 3:2 | 6 |
| მატერსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| პაშინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| ადმირა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| შტურმი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |
| ზალცბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 4:8 | 0 |

## უნგრეთი

მე-3 ტური: უიპეშტი — ზალაეგერსეგი 2:0; მტკ — პეჩი 1:2; დებრეცენი — შოპრონი 0:0; ბეკეშჩაბა — ფერენცვაროში 0:0; ვიდეოტონი — დიორ ეტო 2:0; ბალატონი — ბალადაში 2:0

# ჩეხვა ყაზანური
# ასრულებს რუბინი

## რუსეთი

### პრემიერლიგა. XX ტური

**რუბინი 2:1 დინამო**
1:0, 2:0 რონი (25, 70), 2:1 კორჩაგინი (88)
რუბინი: კოზკო, სინიოვი, სკოტი, ნოვოტნი, ჩალაძე (სილა 61), კალისტო, სიბაია, შარონოვი, კონოვალოვი (ზიდეკი 79), ბოიარინცევი, რონი (ნებაევი 71)

**სატურნი 2:1 როსტოვი**
1:0 გორშკოვი (35), 1:1 ბუტი (52), 2:1 ბისტროვი (87)

**კრილია 2:0 ტ. მეტალურგი**
1:0 ტიხონოვი (52პ), 2:0 პოშკუსი (86)

**ცსკა 3:0 სპარტაკ-ალანია**
1:0 პოპოვი (54), 2:0 ოლიჩი (56), 3:0 პოპოვი (90)

**შინიკი 2:1 ურალანი**
1:0 კუშევი (10), 2:0 ხომუხა (25პ), 2:1 გიგიაძე (54)
ურალანი: იუროშიძე, ვრანიეში, გერაშჩენკო, კუზმინი, მალახოვი, ლომესი, პასონი, გაპონი, აჯინჯალი, ოსპეშინსკი, წიკლაური (ვ. ბიგიაძე 46)

**ლოკომოტივი 1:0 ჩერნომორეცი**
1:0 ლოსკოვი (15)
ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, სენიკოვი, იგნაშევიჩი, პაშინინი, ლეკხეტო, მამინოვი, ლოსკოვი, ხოხლოვი, აშვეთია (პიმენოვი 76), ბუზნიკინი (პარკსი 46)

**სპარტაკი 3:2 როტორი**
1:0 ტიტოვი (21), 1:1, 1:2 ესიპოვი (54, 59), 2:2 კალინიჩენკო (69), 3:2 პავლიუჩენკო (90)

**ტორპედო 1:2 ზენიტი**
0:1 კერჟაკოვი (17), 1:1 კორმილცევი (41), 1:2 ბისტროვი (89)

რუსული პრემიერლიგის ახალი, თათრული ხილი აღარ ხუმრობს. ყაზანის „რუბინმა“ მოსკოვური გუნდები შიშ შემუსრა. ჩამოვთვალოთ: „ტორპედო-მეტალურგი“ 1:0, „ტორპედო“ 3:1, „სპარტაკი“ 1:0, „ლოკომოტივი“ 3:1, ამჯერად „დინამო“ დაამარცხა 2:1. ხუთი დედაქალაქელი ყაზანელებმა უკვე იმსხვერპლეს. მხოლოდ ცსკა დარჩა. „რუბინი“ — ცსკა ბოლო, 30-ე ტურში გაიმართება. თუ იმ დროისთვის არმიელებს ჩემპიონობა განაღდებული ექნებათ, „რუბინი“ კი მოინდომებს და უმოტივაციო მეტოქეს დაამარცხებს, რუსული პრემიერლიგაში არნახულ შედეგს მიაღწევს — 18 ქულა ექვს მოსკოვურ გუნდთან.

მოკლედ, ყაზანში მასპინძლები ძალიან კარგად თამაშობენ და განსაკუთრებით დედაქალაქელებთან. ეს „დინამოს“ მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომაც იცოდა და „რუბინს“ ხუთკაციანი დაცვა დაუპირისპირა. პროკოპენკოს ამ განლაგებამაც ვერ უშველა, რადგან პირველი ტაიმის შუაწელისთვის „დინამო“ უკვე აგებდა.

ყაზანელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა რონიმ სტუმართა არეულობით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. მეორე გოლს დამხვდურთა გულშემატკივრები კარგა ხანს ელოდნენ, რომელიც შესვენების შემდეგ გავიდა. მარტივი კომბინაციის შემდეგ ჩალაძემ კვლავ რონის დაუგდო ბურთი და ბრაზილიელმა დუბლი მიითვალა. „დინამომ“ მხოლოდ ერთის გაქვითვა მოახერხა. ამ გამარჯვებით „რუბინმა“ მოსკოველებს ცხრილში გადაასწრო.

აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ სტუმრად 16 თვის მანძილზე არ წაუგო. ბოლოს ისინი 2002 წლის 30 მარტს იაროსლავლში „შინიკთან“ დამარცხდნენ.

ჩემპიონატის დასრულებამდე ათი ტური დარჩა და, როგორც ჩანს, ბრძოლა მეორე ადგილისთვის, ანუ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოსახვედრად გამძაფრდება. „სატურნი“, „ზენიტი“, „რუბინი“, „დინამო“ და „ლოკომოტივი“ — აი, ის ხუთი გუნდი, რომლებიც სავარაუდოდ მეორე ადგილისთვის იომებენ.

რაც შეეხება ცსკა-ს, საეჭვოა, რომ სკოპიეში მარცხნაწენევმა არმიელებმა ჩემპიონობის შანსი გაანიავონ. ისე კი, ვალერი გაზაევს გაუმართლა, „ვარდარისგან“ კუდამოძუებულ ცსკა-ს დაჩანაკებული „სპარტაკ-ალანია“ რომ ერგო ტურის მატჩში. გაცილებით ძლიერი მეტოქე („დინამო“, „ლოკომოტივი“, „ზენიტი“) რომ შეხვედროდა, ასე იოლად ვერ გაუსწორდებოდა. ამჯერად გაზაევმა კრიტიკოსები ოდნავ მიაჩუმა, რადგან „სპარტაკ-ალანიას“ დამაჯერებლად, 3:0 სძლია და კიდევ ერთი საჩემპიონო ნაბიჯი გადადგა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ვლადიკავკაზელებს ზედიზედ ბოლო ექვს შეხვედრაში ცსკა-ს კარში გოლი არ გაუტანიათ.

მოსკოვის „ტორპედო“ თავის ხელოვნურსაფარიან მოედანზე „ზენიტს“ დაუხვდა და დამარცხდა. არადა, მასპინძლებს უამრავი საგოლე მომენტი ჰქონდათ. მათგან ოთხი შირკომ ისე გაანიავა, რომ მწვრთნელი კინაღამ გადარია.

პეტერბურგელებმა კი თავიანთი შანსები გამოიყენეს. მატჩის მიწურულს შეცვლაზე შესულმა ყმაწვილმა ფორვარდმა ბისტროვმა მცველსაც და მეკარესაც აჯობა და ბურთი მეკარისგან მარცხენა კუთხეში ჩასვა. ეს გამარჯვების გოლი იყო. სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა ალექსანდრ კერჟაკოვმა სიხარული იმით გამოხატა, რომ მოედანზე შევარდა. მსაჯმა ეს წესის უხეშ დარღვევად მონათლა და კერჟაკოვს წითელი ბარათი უჩვენა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 13 | 5 | 3 | 41:23 | 44 |
| სატურნი | 20 | 10 | 7 | 3 | 28:17 | 37 |
| ზენიტი | 20 | 10 | 5 | 5 | 27:24 | 35 |
| რუბინი | 20 | 9 | 7 | 4 | 28:17 | 34 |
| დინამო | 20 | 9 | 6 | 5 | 33:21 | 33 |
| შინიკი | 20 | 8 | 9 | 3 | 28:17 | 33 |
| კრილია | 20 | 8 | 8 | 4 | 27:17 | 32 |
| ლოკომოტივი | 21 | 9 | 5 | 7 | 32:27 | 32 |
| ტორპედო | 20 | 7 | 6 | 7 | 25:24 | 27 |
| სპარტაკი | 20 | 7 | 4 | 9 | 29:34 | 25 |
| როსტოვი | 20 | 6 | 7 | 7 | 21:28 | 25 |
| როტორი | 20 | 5 | 4 | 11 | 24:31 | 19 |
| ურალანი | 20 | 4 | 7 | 9 | 13:26 | 19 |
| ჩერნომორეცი | 20 | 4 | 6 | 10 | 20:30 | 18 |
| ალანია | 20 | 4 | 1 | 15 | 11:36 | 13 |
| ტ. მეტალურგი | 20 | 2 | 5 | 13 | 12:27 | 11 |



ალექსანდრ კერჟაკოვი სიხარულისთვის წითელი ბარათით დაისაჯა

## ინგლისი

### I დივიზიონი. 1 ტური

**ბრედფორდი 2:2 ნორვიჩი**
0:1 რივერსი (44პ), 0:2 ისტონი (47), 1:2 მაირჰედი (84), 2:2 ბრენჩი (90)

**ბარნსლი 2:3 კრისტალ პალასი**
0:1 ფრიდმენი (6პ), 1:1 ბლეიქი (11), 2:1 როჩი (19), 2:2, 2:3 ფრიდმენი (32, 67)

**დერბი ქაუნთი 0:3 სტოკი**
0:1 ნოელ-უილიამსი (15), 0:2 გრინესრი (20), 0:3 ნილი (90)

**იფსვიჩი 1:1 რედინგი**
0:1 სიდუელი (59), 1:1 მილერი (90)

**მილუოლი 2:0 უიგანი**
1:0 უაიზი (53), 2:0 ჩეპილი (74)

**ნოტინგემი 2:0 სანდერლენდი**
1:0 პერვუდი (19), 2:0 ლუი-ჟანი (41)

**პრესტონი 1:2 ვესტ ჰემი**
1:0 ლუისი (2), 1:1 დეფო (5), 1:2 კონოლი (69)

**როტერჰემი 0:0 კარდიფი**

**შეფილდ იუნ. 0:0 ჯილინგემი**

**უოლსოლი 4:1 ვესტ ბრომვიჩი**
1:0, 2:0 მერსონი (18, 39), 3:0 ლეიტაუ (45), 4:0 კორიცა (57), 4:1 კუმასი (70)

**უიმბლდონი 3:1 ძრიუ**
0:1 ბრემერი (8), 1:1 ეგიმენგი (15), 2:1 ტაპი (54), 3:1 რეო-კოკერი (62)

უოტფორდი — ქოვენთრი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უოლსოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| სტოკი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| უიმბლდონი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ნოტინგემი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მილუოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| კრ. პალასი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| ვესტ ჰემი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ნორვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ბრედფორდი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| იფსვიჩი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რედინგი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კარდიფი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| შეფილდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| როტერჰემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჯილინგემი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| უოტფორდი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ქოვენთრი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბარნსლი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| პრესტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ქრიუ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| სანდერლენდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| უიგანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| ვესტ ბრომვიჩი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| დერბი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

### II დივიზიონი

1-ლი ტური: ბარნსლი — კოლჩესტერი 1:0; ბრისტოლი — ნოტსი 5:0; ლუტონი — რაშდენი 3:1; ოლდემი — ბრაიტონი 1:3; პიტერბრო — ჰარტლპული 3:4; პლიმუთი — გრიმსბი 2:2; პორტ ვეილი — ბორნმუთი 2:1; ქუინზ პარკი — ბლეკპული 5:0; ტრანმერი — ბრენტფორდი 4:1; რექსემი — ჩესტერფილდი 0:0; უიკომბი — სტოკპორტი 1:0; სუინდონი — შეფილდ უენსდი 2:3

### III დივიზიონი

1-ლი ტური: კარლაილი — იორკი 1:2; მაკლსფილდი — კემბრიჯი 2:2; ჰალი — დარლინგტონი 4:1; კიდერმინსტერი — მენსფილდი 2:1; ლეიტონი — დონკასტერი 1:3; ლინკოლნი — ოქსფორდი 0:1; მაკლსფილდი — ბოსტონი 0:0; ნორთჰემპტონი — ტორკი 0:1; როჩდეილი — იოვილი 1:3; სკანთორპი — როვერსი 1:2; საუთენდი — ჩელტენემი 2:0; სუონსი — ბერი 4:2

### კონფერენსლიგა

1-ლი ტური: ბარნეტი — ტელფორდი 2:0; ექსეტერი — ჰალიფაქსი 1:1; ფორესტ გრინი — ნორსვიჩი 0:0; გრეივსენდი — ბარტონი 1:2; ლეიფი — დაგენემი 2:1; მორეკამბი — ვოქინგი 2:1; სკარბორო — ფარნბორო 2:1; შრიუსბერი — მარგეიტი 1:1; სტივენეიჯი — ჩესტერი 0:0; ტამვორთი — ჰერეფორდი 1:3; ალდერშოთი — აკრინგტონი 2:1

## პოლონეთი

### I ლიგა. 1 ტური

ოდრა — ლეგია 1:1; ამიცა — პოლონია 2:0; ლეჩნა — პლოცკი 3:1; პოლკოვიცე — ვისლა 0:2; ლეხი — გურნიკი 1:2; ვიძევი — ნოვი დვორი 2:2; კატოვიცე — გროცლინი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გროცლინი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ლეჩნა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ამიცა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ვისლა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| გურნიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სვიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ვიძევი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| ოდრა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლეგია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლეხი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| პლოცკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| პოლკოვიცე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| პოლონია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| კატოვიცე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

# ჰალილჰოჯიჩ-ფერნანდესისა
## ბოსნიელი ფრანგის ღირსეული მემკვიდრეა

### საფრანგეთი

**I დივიზიონი. II ტური**

**ლილი 1:0 პსჟ**
1:0 ტაპია (45)

**ლიონი 3:1 მონაკო**
1:0 სკილაჩი (16ს.კ.), 2:0 ესიენი (26), 3:0 ლუინდულა (45), 3:1 ნონდა (56)

**ბასტია 0:2 მეცი**
0:1 საკი (45), 0:2 ტიავუ (55)

**ბორდო 0:1 მონპელიე**
0:1 ბამოგო (47)

**ლე მანი 0:1 აიაჩო**
0:1 ბაგაიოკო (28)

**ნანტი 2:0 ლანსი**
1:0 ვაირუა (47), 2:0 გ. პუიოლი (56)

**ნიცა 1:0 სოშო**
1:0 ევერსონი (74)

**რენი 1:0 ტულუზი**
1:0 ნგუემა (4)

**სტრასბური 2:0 გენგამი**
1:0 ნიანგი (20), 2:0 ლიუბოია (48)

**მარსელი 1:0 ოსერი**
1:0 მიდო (58)

ძლიერი სიცხის მიუხედავად მეორე ტურში ბურთი საფრეოდ არსად გაგორებულა. მასპინძლებმა შვიდი მატჩი მოიგეს, სტუმრებმა — სამი. სიცხემ მხოლოდ შედეგიანობაზე იმოქმედა. ათიდან ექვსი შეხვედრა 1:0 დასრულდა. აღსანიშნავია ისიც, რომ გოლები ორმხრივად ოდენ „ლიონ“ — „მონაკოს“ ბურთაობაში გავიდა, დანარჩენ წყვილებში კი ცალ კარში.

მთავარი თამაში ლიონის „სტად ჟერლანზე“ გაიმართა. წინა სეზონის მიწურულს ჩემპიონობისთვის მებრძოლ ბობოლათა ჯახი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. მატჩის ოთხი გოლიდან ორი „მონაკომ“ მიითვალა. პეგი ლუინდულას ჩაწოდებული ბურთი სებასტიან სკილაჩიმ საკუთარ კარში ისე ლამაზად მოაყუჩა, რომ ფლავიო რომა უშანსოდ დატოვა. მეორედ უკვე თვითონ მასპინძლებმა შეაგდეს. ჟუნინიოს პასს მაიკელ ესიენის თავი დაუხვდა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ტაიმის მიწურულს ჟუნინიომ საჯარიმო შეასრულა და ჯგუფად შეყრილ ფეხბურთელთაგან ერთ-ერთის თავით ბურთი კვლავ ფლავიო რომას კარში აღმოჩნდა. ამ გოლის ავტორის დადგენა გართულდა და საბოლოოდ პეგი ლუინდულას მიაწერეს.

შესვენების შემდეგ „ლიონმა“ სამბურთიანი სხვაობის შენარჩუნება მოიწადინა. სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შეძლეს გრეგორი კუპეს კარში გოლის გატანა. „მონაკოს“ მთავარმეგოლე შაბანი ნონდამ ანგარიშს სამარცხვინო სახე შეუცვალა.

ალენ პერენის „მარსელი“ ჯერჯერობით სხვებზე სტაბილურად გამოიყურება. ორ ტურში სამხრეთელებმა კარი მშრალად შეინახეს და ექვსი ქულა მოაქუჩეს, თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ ორ მატჩში მხოლოდ ორი გოლი შეაგდეს.

მარსელელებმა ამჯერად „ოსერს“ სძლიეს. მათ მთელი შეხვედრის მანძილზე აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, მეორე ტაიმში იხეირეს. დიდიე დროგბას ჩაწოდებულს ჰოსამ აჰმედ მიდომ საგოლედ უთავაზა.

უხეიროდ დაიწყო პსჟ-მ და ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩის დანაპირები ჯერ არ ჩანს. ბოსნიელი მწვრთნელი დედაქალაქელებით კარგად ნაცნობ „ლილს“ ეწვია. ლილელთა თავკაცმა კლოდ პუელმა, როგორც ჩანს, ჰალილჰოჯიჩისგან ისწავლა დაცვაში კარგად თამაში. მისმა გუნდმა პირველ ტურში „ლიონს“ არ გაატანინა, ახლა კი პედრო პაულეტათი გაძლიერებულ პსჟ-ს. ერთადერთი გოლი შესვენების შემდეგ გავიდა — ჟან მაკუნმა კარისკენ დაარტყა, ბურთი მცველს მოხვდა და ჩილელ ექტორ ტაპიას მიუგორდა, რომელსაც ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია.

შინ ტრადიციულად კარგად მოთამაშე „ბასტიამ“ „მეცთან“ წააგო. კუნძულელებმა ხუთი ყვითელი ბარათი მოაგროვეს, სტუმრებმა კი ორი გოლი. მეორე ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში მეცელთა იშვიათ შეტევათაგან ორი ხეირიანად დასრულდა. ჯერ აკიმ საკიმ შეაგდო, მერე კი პაპე ტიავიმ.

ჟირონდელთა საქმე შავადაა. ელი ბოპის „ბორდომ“ ჩემპიონატი ამაზრზენად დაიწყო. ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, ამჯერად შინ, თან „მონპელიესთან“, რომელიც წინა სეზონში ცალი ფეხით ქვედა დივიზიონში ტრიალებდა. მასპინძელთაგან მხოლოდ ერთი, ედუარდო კოშტაა გამოსარჩევი. მან ფრანგული ლიგის პირველ იაპონელს, ნოზომი ჰიროკამას კინაღამ ფეხები მოამტვრია. ეს ამბავი შეხვედრის მიწურულს მოხდა და კოშტა მსაჯმა წითელი ბარათით მოედნიდან მიაბრძანა.

„მონპელიეს“ გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში შეიქმნა. დესკამპსის პასი ჰაბიბ ბამოგომ შეირგო და ჟირონდელები გააცოფა.

ლანსელებმა ანტუან სიბერსკი „მანჩესტერ სიტის“ დაუთმეს და გულშემატკივართა რისხვაც დაიმსახურეს. უანტუანობა გუნდს მყისვე დაეტყო. პირველ ტურში „ლე მანს“ ვერ მოუგეს, მეორეში კი „ნანტთან“ უშანსოდ დამარცხდნენ. ლანსელები ისე უშნოდ უტევდნენ, რომ კარის ჩარჩოში ბურთი ერთხელაც ვერ მოარტყეს.

პირველ ტაიმში სტუმრები მასპინძლებს კი გაუძალიანდნენ, მაგრამ მეორეში, მასიმა ვაირუასა და გრეგორი პუიოლის გოლებს საკადრისად ვერ უპასუხეს. უგოლო და უქულო „ლანსი“ ფრანგული ლიგის ბეჩავებში გაერია.

ამ სეზონისთვის ლილიან ლასლანდით გაძლიერებულმა „ნიცამ“ შარშანდელის მსგავსად რიხით დაიწყო. სტუმრად „ოსერის“ ძლევის შემდეგ ლაჟვარდოვნებმა არანაკლებ ძლიერი „სოშოც“ შეიწირეს. გამარჯვების გოლი აბდელმალიკ ჩერადის პასს და ევერსონის თავურს მოჰყვა.

„სტრასბურს“ „გენგამთან“ უდიდესი უპირატესობა ჰქონდა და ეს თითო ტაიმში გატანილი თითო გოლში აისახა. მამადუ ნიანგის საპირველტაიმოს, მეორეში დანიელ ლუბოამ ერთიც მიამატა.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| მარსელი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| აიაჩო | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ლილი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| სტრასბური | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მონპელიე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რენი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ნანტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ლიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| მეცი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| მონაკო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სოშო | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტულუზი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ლე მანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| პსჟ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ბასტია | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ლანსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| ოსერი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| გენგამი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| ბორდო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**II დივიზიონი. II ტური**

ამიენი — ანჟერი 1:0; ბეზანსონი — ისტრი 0:1; კაენი — კლერმონი 1:2; კრეტეი — გენიონი 1:1; ნანსი — სენტ ეტიენი 0:1; რუანი — ლავალი 1:1; სედანი — ნიორი 1:1; ტრუა — გრენობლი 3:2; ვალანსი — შატორუ 3:0; ლორიანი — ლე ავრი 2:0



ნიცა — სოშო. აი, ჰიდაობა...



დევიდ ბექემს ტაილანდელებმა დედოფალი გამოუფინეს

**ამხანაგური მატჩები**

**ტაილანდი 1:2 რეალი (ესპანეთი)**
0:1 პორტილიო (29), 1:1 სუკსომკიტი (62), 1:2 მორიენტესი (68)

## მიღება ლოს გალაქტიკოსში

**მადრიდის** „რეალმა“ შორეული აღმოსავლეთის ტურნე ასპროცენტიანი წარმატებით დაასრულა და თან ახალი ფეხბურთელი, ინგლისის ნაკრების კაპიტანი, დევიდ ბექემიც მიიღო, გამოსცადა და რამდენადაც აქედან ჯერჯერობით სჩანს, შეისისხლხორცა. ამბობენ, რომ არათუ მსოფლიოში, თვით „რეალშიც“, ბევრი დიდი ეჭვით უყურებდა მრავალმილიონად შეფასებული ინგლისელის შეთვისების საკითხს. ისინი ფიქრობდნენ, რომ ბექემის ძირითადი ფუნქცია სარეკლამო იმიჯი იყო და არა ფეხბურთის თამაში, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს ხალხი ახლა სხვაგვარად უყურებს მოვლენებს.

„რეალის“ მწვრთნელი კარლუშ კეიროში: „იმისათვის, რომ დევიდს თავი შინ ეგრძნო და გუნდის ნაწილად აღექვა, ყველა ფეხბურთელმა გამოიღო ხელი. ვგონებ, ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც ჩვენ აღმოსავლეთში ყოფნის დროს მივაღწიეთ, სწორედ ეს გახლავთ. ის კარგად თამაშობდა, ყოველ მომდევნო შეხვედრას უკეთესად ატარებდა და საქმეს თვალშისაცემად გულით უდგებოდა. ახლა ის უნდა ვენახოთ, როგორ შეინარჩუნებს ფორმასა და საქმისადმი დამოკიდებულებას სეზონის განმავლობაში, როდესაც ამხანაგური თამაშები სერიოზული მატჩებით შეიცვლება“.

რაც შეეხება ხმებს იმის შესახებ, რომ ბექემსა და „ადიდასს“ შორის სადაცაა 100 მილიონ გირვანქად შეფასებული კონტრაქტი უნდა გაფორმდეს, როგორც გაირკვა, გადაჭარბებულია, თუმცა, „რეალისთვის“ ინგლისელი ვარსკვლავბიჭუნას ამაგი დიდია — მადრიდული კლუბი ამ ნახევარმცველის წყალობით იაპონიაში სუმოს, ჩინეთში პინგ-პონგის, ხოლო ტაილანდში კიკ-ბოქსინგის ვარსკვლავებს გაუტოლდა.

„რეალის“ ოთხი შეხვედრის განმავლობაში დევიდ ბექემი მოედანზე ყველა სხვა ფეხბურთელზე დიდხანს იყო, მათ შორის ბოლო შემთხვევაშიც, ბანგკოკის „რაჯამანგალაზე“, ძალიან მაღალი ტენიანობის პირობებში, სადაც ძალიან ოსტატურად ითამაშა.

იმ დღესაც, ბექემი მარჯვენა ფრთაზე მოქმედებდა და ასრულებდა ზუსტ, გრძელ თუ მოკლე პასებს. ერთ ეპიზოდში, მოედანი ძალიან გრძელი პასით ისე გადაჭრა, რომ ზინედინ ზიდანი გაიყვანა ახლოდან დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ ბანგკოკელთა მეკარემ, კიტისავ რავანგპამ ოსტატურად ითამაშა — აღსანიშნავია, რომ ინგლისურ გაზეთ „სანს“, დევიდ ბექემისა და „რეალის“ თემის გასაშუქებლად აღმოსავლეთში საგანგებოდ ჰყავდა გაგზავნილი კორესპონდენტები, რომელთაც ბოლო მიმოხილვაში აღნიშნული აქვთ, რომ ასეთ ვარსკვლავურ შემადგენლობაშიც კი ზიდანი განსაკუთრებულად გამოირჩევა და, ვინაიდან ზემოთაღწერილი ეპიზოდის გამო თვით მან, ზიდანმა დაუკრა ბექემს ტაში, ესე იგი, ის „ლოს გალაქტიკოსში“ მიღებულად უნდა ჩავთვალოთ.

ასევე ბექემის მონაწილეობით გავიდა ხავიერ პორტილიოს გოლი 29-ე წუთზე, როდესაც მან ფერნანდო მორიენტესს გადააწოდა ბურთი, მორიენტესმა — პორტილიოს. ბექემისავე კუთხურის შემდეგ დაარტყა მაკრატელა მცველმა ფრანსისკო პავონმა და კიდევ ერთ მომენტში ბექემმავე მიაწოდა პასი მორიენტესს, რომელმაც ააცილა.

ტაილანდელებმა ანგარიში 62-ე წუთზე გაათანაბრეს და ეს სუტე სუკსომკიტმა შეძლო, თუმცა მასპინძელთა კმაყოფილებას სულ რამდენიმეწუთიანი სიცოცხლე ეწერა — სულ მალე გუტის ჩაკიდებულს მორიენტესს მიჰკრა და მატჩის ბოლო გოლი შეაგდო.

ამ დროს ინგლისის ნაკრების კაპიტანი უკვე გასული იყო თამაშიდან.

**ბაჰუნა ძიდია**

**ტოტენჰემი (ინგლისი) 0:0 სპორტინგი (პორტუგალია)**

**ევერტონი (ინგლისი) 3:0 ბოლონია (იტალია)**
1:0 რაძინსკი (18), 2:0 ნ. ჩედვიკი (45), 3:0 პემბრიჯი (50)

**ბლექბერნი (ინგლისი) 1:0 კიევო (იტალია)**
1:0 დ. ტომპსონი (88)

**იუვენტუსი (იტალია) 3:0 რეჯინა (იტალია)**
1:0 მარესკა (59), 2:0 დელ პიერო (69პ), 3:0 ოლივერა (79)

**პორტსმუთი (ინგლისი) 2:0 ფეიენოორდი (ჰოლანდია)**
საუთჰემპტონი (ინგლისი) 1:0 პარმა (იტალია)

**ლიდსი (ინგლისი) 2:0 შელბურნი (ირლანდია)**

**სენტ პატრიკზი (ირლანდია) 0:6 ასტონ ვილა (ინგლისი)**

**გუბიო (იტალია) 1:3 პარმა (იტალია)**

### ურუგვაი

**კლაუსურა. IV ტური**

ლივერპული — დანუბიო 0:2; ფენიქსი — რივერ პლეიტი 1:2; უონდერერსი — პენიაროლი 1:2; დეპორტეს კოლონია — დეფენსორ სპორტინგი 1:4; ხუვენტუდი — სერო პორტენო 1:4; მირამარი — დეპორტეს მალდონადო 2:0; ნასიონალი — პლაცა კოლონია 4:2; ტაკუარემბო — სენტრალი 0:2

### ჩილე

**კლაუსურა. III ტური**

აუდაქს იტალიანო — უნიონი 1:1; უნიონ ესპანიოლა — კობრესალი 1:1; პალესტინო — უაჩიპატო 3:5; რეინჯერსი — უონდერერსი 1:1; უნივერსიდად დე ჩილე — პუერტო მონტი 3:1; კოკიმბო — კობრელოა 1:1. კონსეპსიონი — ტემუკო და უნივერსიდად კათოლიკა — კოლო კოლო გადაიდო

### მექსიკა

**აპერტურა. II ტური**

ხაგუარესი — ტოლუკა 0:1; მონარკას მორელია — გალოს კერეტარო 3:2; სან ლუისი — პუებლა 4:0; ატლასი — უნამი 0:1; პაჩუკა — ტიგრესი 1:1; ამერიკა აგილასი — კრუზ ასული 1:1; ატლანტე — გვადალახარა 2:2; სანტოსი — ნეკაქსა 1:1; ტეკოსი — ირაპუატო 1:3

### სლოვენია

**V ტური**

დრავოგრადი — კოპერი 0:1; ცელიე — პტუი 3:1; მარიბორი — ბიდოვშინა 2:1; დომჟალე — სმარტნო 2:1; მურა — ოლიმპია 0:4; ნოვა გორიცა — ლიუბლიანა 5:0

### ჰოლანდია

**სუპერთასი**

პსვ ეინდჰოვენი 3:1 უტრეხტი
1:0 რობენი (14), 1:1 ვან დერ ბაარი (21), 2:1 ვან ბომელი (47), 3:1 კეჟმანი (88)

### პორტუგალია

**სუპერთასი**

პორტუ 1:0 ლეირია
1:0 კოშტინია (54)

## ამხანაგური მატჩი

**მანჩესტერ სიტი (ინგლისი) 2:1 ბარსელონა (ესპანეთი)**

1:0 ანელკა (38), 1:1 სავიოლა (58), 2:1 სინკლერი (67)

# სიტის ფოიერვერკი

„მანჩესტერ სიტისა" და „ბარსელონას" სასეზონთაშორისო შერკინება 20 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზი კონფედერაციის თასის მატჩისას გარდაცვლილი მარკ ვივიენ ფოეს ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია გახლდათ. კამერუნელი მობურთალი „სიტის" შემადგენლობაში ირიცხებოდა და იქაურებმა ერთხელაც დაიტირეს უბედური. ამ სევდიანი გამომშვიდობების შემდეგ „ბარსას" ალბიონური სეზონთაშორისის მეორე შერკინებაც დაიწყო (პირველი კატალონიელებმა „ლესტერ სიტისთან" 1:0 მოიგეს).

მანჩესტერულ მატჩში ფრანკ რაიკარდმა რამდენიმე ცვლილება მოახდინა. კატალონიელთა კარის სადარაჯოზე ტრავმისგან მოშუშებული რუშთუ დაბრუნდა, დაცვის ცენტრში ანდერსონი ბურთაობდა, ხოლო ფილიპ კოკუს მაგივრად მოედანზე ხერარდი გავიდა.

თამაში ინგლისელთა შეტევებით დაიწყო, თუმც პირველი სახიფათო ეპიზოდი პატრიკ კლუივერტმა შექმნა — რონალდინიოს კარგი პასის შემდეგ კატალონიელ მავრს „ბარსელონას" დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ბრაზილიელის ჩაწოდებას სახიფათო თავური ველარ მიადევნა. ერთი წუთის შემდეგ რონალდინიომ კვლავ მისცა ჰოლანდიელს თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ ახლა „სიტის" ვეტერანმა გოლკიპერმა დევიდ სიმენმა ივაჟკაცა. მანჩესტერელები მრისხანე მეტოქის ზეწოლას არ შეუშინდნენ და კატალონიურ შეტევებს შორის რუშთუს საჯარიმოსაც ესტუმრნენ. ტრევორ სინკლერი ტაბლოზე „სიტის" უპირატესობისთვის გაისარჯა, თუმცა ოსმალო მეკარემ ამ მიზდომის აღკვეთა იოლად შეძლო. მერე კი შეხვედრა დროებით შეწყდა — ადგილობრივთა სახელიანმა კაპიტანმა ალი ბენარბიამ ტრიბუნათა აღტაცებული ოვაციის თანხლებით დატოვა მშობლიური მინდორი, როცა 29-ე წუთზე ბერკოვიჩით შეცვალეს. ეს „მანჩესტერ სიტიში" ტუნისელის ბოლო მატჩი იყო. ხალხმა დამაშვრალ კაპიტანს აპლოდისმენტებით მიაგო პატივი, ხოლო კლუბმა გატანილი გოლით. ყველაფერი რაიციგერის დაუდევრობის გამო მოხდა — ჰოლანდიელმა ანელკას დაჭერა ვერ შეძლო და ფრანგმა თავდამსხმელმა რუშთუს კარის სიღრმეში მოგზაურობა აკისრებინა — 1:0 33-ე წუთზე. ანგარიშის გასათანაბრებლად „ბარსა" სწრაფი იერიშებით მიაწყდა სიმენის საჯარიმოს, მაგრამ ჯერ რონალდინიომ, ხოლო შემდეგ მისივე ლამაზი პასით აღჭურვილმა ხავიმ შესაფერისი ეპიზოდები ვერ გამოიყენეს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კატალონიელთა შორის ყველაზე უკეთ პსჟ-ს ყოფილი ვარსკვლავი ირჯებოდა.

პირველი ტაიმი „სიტის" მინიმალური უპირატესობით დამთავრდა. მეორე ნახევარში სავიოლამ გაიბრწყინა — რიკარდო კვარესმას შემცვლელმა არგენტინელმა ხავის დროული ჩაწოდების შემდეგ დევიდ სიმენის კარი აიღო 1:1 — 57-ე წუთზე. თუმც ამ შეხვედრის დათმობას „მანჩესტერ სიტი" არამც და არამც არ აპირებდა — ჯერ სინკლერმა 66-ე წუთზე თავური დარტყმით ორამდე გაზარდა ანგარიში, შემდეგ კი პაულო სეზარ ვანჩოპეს დარტყმულმა ბურთმა კატალონელთა კარის ძელი მოინახულა. მიუხედავად „ბარსას" დიდი მცდელობისა, თამაშის გადარჩენა ველარ მოხერხდა. ოვერმარსის ძლიერი დარტყმა სიმენმა უკუაგდო, ინიესტამ კი ვანჩოპეს მსგავსად ძელს დაუმიზნა. საბოლოოდ — 2:1 „მანჩესტერ სიტის" სასარგებლოდ.

**ლადო ხომერიკი**



რონალდინიომ მანჩესტერშიც გაიბრწყინა, მაგრამ „ბარსელონას" მაინც ვერ უშველა

## ბრაზილია

25-ე ტური: ფლუმინენსე — კრისიუმა 1:1; სან კაეტანო — კრუზეირო 2:0; პარანა — სანტოსი 1:2; სან პაულუ — ჟუვენტუდე 3:1; პაისანდუ — გოიასი 2:2; პონტე პრეტა — ინტერნასიონალი 1:4; კურიტიბა — ფლამენგო 5:0; ატლ. მინეირო — კორინთიანსი 2:3; ბაია — ფორტალეზა 1:0; ფიგეირენსე — ვიტორია 1:2; გრემიო — ატლ. პარანენსე 1:1; ვასკუ და გამა — გუარანი 0:0

# ტოლობა ორი გოლის სხვაობით

ბრაზილიის ჩემპიონატის მრავალთვიანმა ლიდერმა „კრუზეირომ" იანვრიდან მოყოლებული მეორედ წააგო და ეს საკმარისი შეიქნა, რომ 46-ტურიანი შეჯიბრის 25-ე ტურში მას „სანტოსი" წამოსწეოდა. „კრუზეირომ" „სან კაეტანოსთან" წააგო 0:2, „სანტოსმა" კი სტუმრად 2:1 მოუგო „პარანას", მცველ ალეშის ორი გოლის წყალობით.

ალეშმა პირდაპირი საჯარიმო დარტყმით მე-4 წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ ერთ წუთში რონალდომ ანგარიში გაათანაბრა და თავისი მეთერთმეტე გოლი ჩაიწერა ამ ჩემპიონატში. ალეშმა მეორე ტაიმის დასაწყისშიც გაიტანა და ეს გოლი გამარჯვებისა გამოდგა.

„სანტოსის" მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ საკუთარი მცველი ანდრე ლუიში გამოლანძღა, ეგრე უპასუხისმგებლოდ როგორ გაისარჯე, რომ მსაჯმა გაგაძევაო.

ახლა „სანტოსი" ქულებით გაუსწორდა ლიდერად დარჩენილ „კრუზეიროს". ბოლოს ტოლი ქულები ამ კლუბებს აპრილში ჰქონდათ, „კრუზეირო" კი მხოლოდ უკეთესი გოლების წყალობით უსწრებს ლეაოს გუნდი.

„ფლამენგო", რომელმაც შუა კვირაში 6:0 მოუგო „ბაიას", ახლა 0:5-ზე დამარცხდა „კორიტიბასთან". გამარჯვებულთაგან გოლები მარსელმა (2), ჩეკორე ედუ სალესმა და რობერტუ ბრუმმა გაიტანეს. ეს არის „მენგოს" პირველი მარცხი მას შემდეგ, რაც ოსვალდო ოლივეირამ ნელსინიო ბაპტისტა შეცვალა მწვრთნელის პოსტზე.

თავის მხრივ, იფხიზლა „ბაიამ", რომელმაც დანილოს გოლით სძლია „ფორტალეზას". „ბაიას" ახალი მწვრთნელი, მარსელო შამუშა ჰყავს, რახან ზედმეტი მარცხის თავზე განთქმული ევარესტო დე მასედუ გადადგა, შამუშა ბაიელთა მესამე მწვრთნელია მარტის შემდეგ.

ტანჯულმა „ფლუმინენსემ" შინ „კრესიუმას" ვერ მოუგო, იმის მიუხედავად, რომ სტუმრები ცხრა კაცით იბრძოდნენ: კლებერ გაუშუ და ალეშანდრე გაუძევეს. „ფლუს" ვეტერან რომარიოს კუნთი ეტკინა და ვერაფერში მოეხმარა ბოლოსწინა ადგილზე ჩავარდნილ გუნდს. ახლა „ფლუ" მხოლოდ „გრემიოს" უსწრებს, თუმც, ამ უკანასკნელს მეათე ტურია არ წაუგია და თამაშსაც კვირიდან კვირამდე აუმჯობესებს.

**ლუკაუ დუ მოზაკუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 25 | 14 | 6 | 5 | 53:32 | 48 |
| სანტოსი | 25 | 14 | 6 | 5 | 48:29 | 48 |
| სან პაულუ | 25 | 13 | 7 | 5 | 46:34 | 46 |
| ინტერნასიონალი | 25 | 12 | 6 | 7 | 37:29 | 44 |
| კურიტიბა | 25 | 12 | 6 | 7 | 41:29 | 42 |
| ატლ. მინეირო | 25 | 10 | 9 | 6 | 45:37 | 39 |
| კრისიუმა | 25 | 11 | 5 | 9 | 34:33 | 38 |
| სან კაეტანო | 25 | 9 | 11 | 5 | 25:21 | 38 |
| კორინთიანსი | 25 | 9 | 9 | 7 | 40:30 | 36 |
| პარანა | 25 | 10 | 5 | 10 | 46:40 | 35 |
| გუარანი | 25 | 10 | 5 | 10 | 38:37 | 35 |
| პაისანდუ | 25 | 8 | 8 | 9 | 45:44 | 32 |
| ფლამენგო | 25 | 8 | 8 | 9 | 38:43 | 32 |
| ფიგეირენსე | 25 | 8 | 7 | 10 | 27:32 | 31 |
| ვიტორია | 25 | 8 | 7 | 10 | 28:39 | 31 |
| პონტე პრეტა | 25 | 8 | 10 | 7 | 35:36 | 30 |
| ატლ. პარანენსე | 25 | 8 | 6 | 11 | 32:34 | 30 |
| ვასკუ და გამა | 25 | 7 | 8 | 10 | 31:39 | 29 |
| ბაია | 25 | 7 | 7 | 11 | 28:42 | 28 |
| ფორტალეზა | 25 | 7 | 5 | 13 | 31:40 | 26 |
| ჟუვენტუდე | 25 | 5 | 8 | 12 | 25:43 | 26 |
| გოიასი | 25 | 5 | 10 | 10 | 39:42 | 25 |
| ფლუმინენსე | 25 | 6 | 6 | 13 | 29:45 | 24 |
| გრემიო | 25 | 6 | 5 | 14 | 25:36 | 23 |

# რუმინელიც რომანს

## აბრამოვიჩის ჩელსი მუტუთიც გაძლიერდა

**რუმინელმა** ადრიან მუტუმ განაცხადა, რომ „ჩელსის" განახლების პროექტში მონაწილეობაზე უარს ვერაფრით იტყოდა — მუტუ ლონდონში კვირას ჩაფრინდა, რათა იტალიური „პარმადან" 15,8 მილიონ გირვანქიანი ტრანსფერისთვის ბოლო შტრიხები შეემატა. მას და კლუბს სამედიცინო ტესტირება და პირად საკითხებზე, ანუ გასამრჯელოზე მოლაპარაკებაღა დარჩათ. მუტუს კონტრაქტს წერტილი რომ დაესმება, „ჩელსის" რუსი პატრონის, რომან აბრამოვიჩის ამ ზაფხულის დანახარჯი 74,3 მილიონ გირვანქას გაუტოლდება.

ადრიან მუტუ: „ამ წინადადებაზე უარს ვერაფრით ვიტყოდი, რადგან ჩემი „პარმაში" დარჩენა მას ვერაფრით შეედრებოდა. „ჩელსის" შესახებ დან პეტრესკუ მელაპარაკა, ლონდონელებსაც მან შესთავაზა ჩემი თავი. შემდეგ „პარმას" ანგარიშის გაწევა და კონტრაქტზე დაყაბულება ვთხოვე და მადლობელი დავრჩი, რადგან კლუბმა გამიგო. მერწმუნეთ, ჩემთვის „პარმადან" წასვლა ძნელი გახლდათ, რადგან იქ გრძნობები და ურთიერთობები ჩამომიყალიბდა, თუმცა ახლა, როდესაც ყველაფერი მოგვარდა, მე „ჩელსიზე" ვფიქრობ".

შეგახსენებთ, რომ მუტუმ გასულ სეზონში სერია A-ში 17 გოლი გაიტანა, ხოლო უეფას თასზე 4. იგი 24 წლისაა, „პარმაში" ერთი წლის წინ „ვერონადან" გადავიდა. ამ ზაფხულს მის შეძენას „იუვენტუსი", „არსენალი" და „ლაციოც" ცდილობდნენ.

**ბაჩუნა ძიძია**



ადრიან მუტუ

## შვეიცარია

### სუპერლიგა. V ტური

**ბაზელი 3:1 აარაუ**

1:0 მ. იაკინი (20), 1:1 დე ნაპოლი (59), 2:1 ხ. როსი (69), 3:1 მუგელი (79)

**გრასჰოპერი 1:1 სერვეტი**

0:1 აზიავონუ (35), 1:1 ტარარახე (90)

**ქსამაქსი 2:1 ციურიხი**

1:0, 2:0 რეი (4, 52), 2:1 ჩიპაბი (90)

**სენტ გალენი 1:1 თუნი**

0:1 რამა (33), 1:1 ტაზე-მენსა (50)

**იანგ ბოისი 2:1 ვილი**

1:0 დისლერი (1), 2:0 მანინი (32), 2:1 ფაბიანო (53)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:8 | 15 |
| იანგ ბოისი | 5 | 4 | 0 | 1 | 12:7 | 12 |
| სერვეტი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:4 | 11 |
| ქსამაქსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| აარაუ | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | 6 |
| თუნი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:10 | 6 |
| გრასჰოპერი | 5 | 1 | 1 | 3 | 9:10 | 4 |
| სენტ გალენი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:9 | 3 |
| ციურიხი | 5 | 0 | 1 | 4 | 5:9 | 1 |
| ვილი | 5 | 0 | 1 | 4 | 8:14 | 1 |

